რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 6 აპრილი 1918 წ.

ერთობა

ფასი 30 კაპ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 6 მ. 50 კ. ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 79 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 79

98

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელდება ხელის მოწერა 1918 წლისთვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ერთობა“-ზე

1 თვით — 6 მან. 50 კ. ცალკე № ყველგან 30 კ.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:

Тифлисъ, почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА“

ამხ. და თანამგრძნობთ გთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

მომხმარებელი საზოგადოება „ალორძინება“

8 აპრილს დილის 10 საათზე სახალხო უნივერსიტეტის შენობაში (მიხეილის პრ. № 91) დანიშნულია გაგრძელება ხელმეორედ მოწვეულ წევრთა საზ. კრებისა.

დღის წესრიგი:

1. არჩევნები საზოგადოების ადმინისტრაციისა.

კრება შესდგება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

(2—1) გამგეობა.

მეოთხე რაიონის წითელგვარდიელთა შტაბი

პარასკევს 6 აპრილს, საღამოს 6 საათზე, თავის ბინაზე (საბებიო ინსტიტუტის შენობაში), იწვევს ამავ რაიონის წითელგვარდიელთა

საზოგადო კრებას

დღის წესრიგი:

1) ორგანიზაციული კითხვა.
2) ათისთავების დამატებითი არჩევნები.
და 3) მიმდინარე კითხვები.

განცხადება

თფილისის ქალაქის გამგეობა აცნობებს ქალ. თფილისის მცხოვრებთ და დაწესებულებებს, რომ, ვინაიდან ქალაქს მრავალი გამოქცეული აწუხებს და მათთვის კი არ არის თავისუფალი ბინები, ყველა სადგომები: კლუბებისა, კინემატოგრაფებისა, „ჩაშკა ჩაის“ და სასწავლებლების ჩარიცხული აქვს ქალ გამგეობას გამოქცეულთა მოსათავსებლათ, და არცერთ ორგანიზაციებს და სახლის პატრონებს უფლება არ აქვთ გამგეობის დაუკითხავათ ზემოხსენებული შენობებით სარგებლობის. (3—1)

შაქარი

ხელ ახლა დანიშნულია მესამე სერიის სასურსათო ბარათებისა (შაქარზე, ნავთზე და სხვ.) აპრილის, მაისის და ივნისისათვის. ბარათები მიეცემა მხოლოდ და მხოლოდ სახლის კომიტეტებს. იმ მოქალაქეებმა, რომელთაც ჯერ არ აურჩევიათ სახლის კომიტეტები უნდა დააჩქარონ მისი არჩევა. სახლის კომიტეტებში შეუკავშირებელთ ბარათები არ მიეცემათ.

ყველა საჭირო რჩევა და ინსტრუქციები სახლის კომიტეტის მოსაწყობათ მიიღება საუწნო სასურსათო კომიტეტში.

(3—1) ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.

ჩვენი ხალხის საყურადღებოთ

ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლათ

მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში (ფრეილინის ქუჩა, № 11 საკუთარი სახლი) დილის 11-დან 3 საათამდე.

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57 აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—[illegible].

ექიმი

დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ექიმი პ. ი. ჭვარჭამაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

ექიმი

დ. ი. ქორდანია

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი მისი და შედეგები სისხლ ნაკლებზე. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრაპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37.

ექიმი

გ. დონხინი

ყოფილ იასხისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს

თვალის ტკივილებით ავადმყოფებს,

დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარაზიცვის ძველის პირდაპირ რაზიქნდის ქუჩა, № 19.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნალი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის

გ. გ. მეგრაბიანცისა

შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ელექით დაავათმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანნები, პნევმოტორაქსი, დ'არსენვალისა ტოკი და სხვა. რენტგენ-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ. —7 საათამდე. კვირაობით კი დილი. 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

ორ ფრონტზე მუშაობა

მტერი დასავლეთ საქართველოს საზღვრებში შემოიჭრა და ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობას იარაღით ანხორციელებს.

ბაღდადში და მცირე აზიაში დამარცხებული ოსმალეთი ამიერ-კავკასიაში ეძებს კომპენსაციებს და აქ უნდა დანაკლისი აინაზღაუროს.

ამიტომაც იყო ცენტრალურ სახელმწიფოების კავშირმა ანგარიში გაუწია მოკავშირეს ბრესტში—ყარსი, არტაანი და ბათუმის ოლქი გადაცა.

ამიერ-კავკასიის მთავრობამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ასეთი ზავის პირობა არ მიიღო და სამი „სანჯაკის“ გადაცემაზე უარი სთქვა.

თვით ტრაპიზონის მოლაპარაკების დროსაც კი, ოსმალეთმა დაჟინებით მოითხოვა ბრესტის ხელშეკრულების განხორციელება და იარაღი აამოძრავა.

მტერმა კარგათ იცის ჩვენი სისუსტე, ჩვენი მოჭანცულობა, ჩვენი მოუმზადებლობა, ამიტომაც არის იგი ასე გაბედულათ მოქმედებს. მით უმეტეს, რომ ოსმალეთს გვერდში უდგას ჯერ-ჯერობით გამარჯვებული გერმანია თავის მოკავშირეებით.

მაგრამ ჩვენ ეს გულს ვერ გაგვიტეხს, სასოწარკვეთილებაში ვერ ჩაგვაგდებს.

მოვალენი ვართ ჩვენი ფრონტი დავიცვათ, მოზღვავებული მტერი მოვიგერიოთ.

მიუხედავათ იმისა, რომ თვით განადგურებული და მიწასთან გათანასწორებული ოსმალეთი დღეს ჩვენზე მეტ მილიტარულ ძალას წარმოადგენს,—ჩვენ თავდაცვის საქმეზე ხელს ვერ ავიღებთ და ბოლშევიკებსავით მტრის წინ ვერ წამოვიჩოქებთ. ჩვენს რევოლიუციონურ მოვალეობას შეადგენს ყველამ იარაღი ავიღოთ, მტრის წინაშე დარაზმულები დავდგეთ.

გაშიშვლებული და დასუსტებული ფრონტი უარეს უბედურებას დაგვატეხს თავს. ამიერ-კავკასიის მცხოვრებთ ოსმალეთის დესპოტიზმის მონობის უღელი დაედგმება.

მაგრამ ჩვენი ბრძოლის წარმოება მარტო ამ ფრონტით არ განისაზღვრება; ჩვენ საბრძოლველათ სხვა გზასაც ვიტოვებთ და არა ნაკლებ ყურადღებას ამ გზასაც მივაქცევთ.

საქმე იმაშია, რომ ჩვენსა და ოსმალეთ შორის ატეხილი დავა ამ ორი მოწინააღმდეგის ურთიერთობის მასშტაბით არ გადასწყდება; ამ საქმეში, ეჭვს გარეშეა,—ცენტრალური სახელმწიფოები,—უმთავრესად კი გერმანია იქნება დაინტერესებული და ჩვენ იძულებული ვართ სადავო კითხვების გადაწყვეტის საქმეში გერმანიას მივმართოთ. მით უმეტეს, რომ გერმანიის საგარეო პოლიტიკა არ მოითხოვს ამიერ-კავკასია სრულიად განუვითარებელ ოსმალეთის საჯიჯგნათ დარჩეს.

გარდა იმისა, რომ გერმანიას ამიერ-კავკასიის სახით „ბუფერი“ სჭირია, უნდა, რომ მისმა საგარეო ვაჭრობამ აქ ფეხი მოიკიდოს და ჩვენსა და მას შორის მომავალ ეკონომიურ ურთიერთობას მტკიცე საძირკველი ჩაუყაროს.

ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა ამიერ-კავკასია 1914 წლის საზღვრებში დარჩება და მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი იქნება.

ცენტრალური სახელმწიფოები ბათუმს ოსმალეთს არ დაანებებენ. ბათუმი განუვითარებელ ოსმალეთისათვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. მას ისედაც მრავალი ნავთსადგურები აქვს შავს ზღვაზე და ამ ქალაქს იგი ვერას დროს ვერ გამოიყენებს. ერთათ ერთი მიზანი პოლიტიკურია: ენვერ-ფაშას უნდა ბათუმის ხელში ჩაგდებით შინაური უკმაყოფილება დააცხროს და მით ახალგაზრდა ოსმალთა პარტიის უკვე შერყეული პრესტიჟი გაამაგროს. მაგრამ გერმანია და საზოგადოთ ცენტრალური სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა ოსმალეთის შინაურ „პარტიულ“ საქმეებს მსხვერპლათ არ შეეწირება და იგი, დარწმუნებული ვართ, ჩვენსა და ოსმალეთის საქმეში აქტიურათ ჩაერევა.

მაშასადამე, ჩვენ ორ ფრონტზე გვმართებს მუშაობა. ერთის მხრივ ბრძოლის ფრონტი უნდა გავაძლიეროთ და მოზღვავებულ მტერს იარაღით ხელში დავუხვდეთ და მეორეს მხრივ ცენტრალურ სახელმწიფოები სამშვიდობო მოლაპარაკებაში ჩავაბათ.

ამ ორ ფრონტზე მუშაობა ენერგიულათ უნდა ვაწარმოვოთ და იგი იხსნის ამიერ-კავკასიის მცხოვრებთ საზოგადო დაღუპვისა და განადგურებისაგან.

აი მორიგი საქმე, რომელიც ამიერ-კავკასიის დემოკრატიამ და მისმა მთავრობამ უნდა აწარმოვოს.

ჩვენი პოლიტიკა

ბევრი გმობს ჩვენს პოლიტიკას. განსაკუთრებით ვერ გაუგიათ: როგორ მოხდა, რომ ჩვენ ჯერ წამოვაყენეთ პრინციპი ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობისა, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა მაინც არ გამოვაცხადეთ და შემდეგ იქამდისაც კი მივედით, რომ რუსეთისაკენ დავიჭირეთ თვალი, მისგან მოველით დახმარებას,—ერთი სიტყვით ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის ორიენტაცია შევსცვალეთ რუსეთის ორიენტაციაზე. ეს, ჩვენი მოწინააღმდეგეების აზრით, ნიშნავს დაუდგრომლობას, ქნაობას, უპრინციპობას. „სახალხო საქმის“ სიტყვით „ორიენტაციის საკითხი არ არის დღისა და კვირის საკითხი; ორიენტაციას ხანა ქმნის, მთელი პერიოდის რეალური ძალთა განწყობილება“.

რამ გამოიწვია ასეთი გაუგებრობა?

შემთხვევით არ არის ის გარემოება, რომ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა ჩვენი პოლიტიკა ვერ გაიგეს. აჰის მიზეზია ის, რომ ისინი ვერ არჩევენ ერთმანეთისაგან პროგრამას, პრინციპს და პოლიტიკას, ესე იგი პროგრამის განხორციელების საშუალებებს.

მართალია ის, რომ ორიენტაცია არ არის დღისა და კვირის საკითხი, რომ ორიენტაციას ქმნის რეალური ძალთა განწყობილება. ჩვენი ორიენტაციაც სწორეთ საუკუნოების განმავლობაში იქნა შემუშავებული. მეთვრამეტე საუკუნეში, ერეკლე მეფის დროს, საქართველოს გამოელია ყოველივე საშუალება ოსმალეთთან ბრძოლისა: შინაურმა ანარქიამ, ფეოდალების ღალატმა და ოსმალების თარეშმა საბოლოვოთ დაარწმუნეს ერეკლე მეორე, რომ საქართველოსთვის მოკავშირე იყო საჭირო და ასეთ მოკავშირეთ აღიარებული იქნა რუსეთი. რასაკვირველია, რუსეთი სულაც არ იყო დაინტერესებული საქართველოს კეთილდღეობაზე ეზრუნა; პირიქით, მისი მიზანი იყო კავკასიის დაპყრობა, რაც მან კიდეც შესძლო. მაგრამ რუსეთის ინტერესს შეადგენდა დაემყარებია აქ ერთნაირი წეს-რიგი, რაც ქართველ ერის განვითარებისათვისაც ხელის შემწყობი გამოდგა.

როგორია დღევანდელი მდგომარეობა? დღესაც, როგორც ასი წლის წინეთ ველური ოსმალეთი ჩვენი მეზ ბელი, დღესაც ფიზიკური გაჟლეტა და განადგურება მოგველის ოსმალეთისაგან. ამიტომ იყო, რომ დიდი რევოლიუციის შემდეგაც ჩვენ რუსეთის საზღვრებში დარჩენა ვარჩიეთ.

ჩვენი ორიენტაცია იყო ორიენტაცია რუსეთის, ორიენტაცია კულტურის და განვითარების ველურობის და უკულტურობის წინააღმდეგ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ვითომ ჩვენ არ უნდა შეგვეცვალა ჩვენი მოქმედება, როცა გარემოება შეიცვლებოდა. და მართლაც, როცა ერთის მხრით რუსეთი დაიშალა და დროებით ბრძოლის უნარი დაჰკარგა, როცა რუსეთის ჯარმა ჩვენი ფრონტი დასტოვა და ამავე დროს გაჭირვებაში ჩავარდნილმა ოსმალეთმა ზავი წინადადება მოგვცა და დამოუკიდებლობის გამოცხადება მოგვთხოვა,—რა უნდა გვექნა ჩვენ? ჩვენ მაშინ პრინციპიალურათ ვიცანით ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება, მაგრამ ერთის პირობით: თუ ოსმალეთი და მისი მოკავშირენი—გერმანია, ავსტრია და ბულგარეთი ჩვენს დამოუკიდებლობას იცნობდენ და ბათუმ ყარს-არდაგანზე ხელს აიღებდენ. ჩვენ ვერ წარმოგვედგინა დამოუკიდებელი ამიერ-კავკასია უამისოდ, რადგან ჩვენ ვიცით, რომ დამოუკიდებლობა თავისთავათ არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს, თუ დამოუკიდებელ სახელმწიფოს არ ექნება განვითარების საშუალება. და მართლაც, რა სახელმწიფოა ის, რომელიც ერთის მხრით კავკასიონის ქედზეა მიბჯენილი, ხოლო მეორე მხრით ზღვს მოწყვეტილია და ველურ ოსმალეთის მეზობლათ არის. ასეთი იქნებოდა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფო უბათუმოთ და უყარსოთ.

ამიტომ იყო, რომ როცა ოსმალეთმა ჩვენი პირობები არ მიიღო და დამოუკიდებლობის გამოცხადებაც მოგვთხოვა, ჩვენ ეს უარყავით და რუსეთთან კავშირი ვარჩიეთ. ჩვენ ვიცით, რომ რუსეთი დღეს დაშლილია, მაგრამ დაშლილი რუსეთი მაინც მაღლა სდგას ოსმალეთზე თავისი კულტურით და სახელმწიფოებრივობით. ამიტომ, როცა არჩევანი რუსეთს ან ოსმალეთს ეხება, ჩვენ არ შეგვიძლია ოსმალეთს ზურგი არ შევაქციოთ და რუსეთს არ მივმართოთ.

მაგრამ შესაძლებელია სხვა გამოსავალი გზაც. ჩვენ ვიცით, რომ საერთაშორისო ომის ფერხულში ჩვენ ვერ ვითამაშებთ გადამწყვეტ როლს, ვერ ვაწარმოებთ დამოუკიდებელ პოლიტიკას. ჩვენ უნდა მივემხროთ ან ერთს, ან მეორე კოალიციას. და ამიტომ შესაძლებელია ჩვენ გერმანიის კოალიციაში ამოვყოთ თავი, თუ რასაკვირველია, გერმანია იცნობს ჩვენს დამოუკიდებლობას. არავისათვის არ უნდა იყოს საეჭვო, რომ გერმანია ოსმალეთს არ ჩაუგდებს ხელში ამიერ-კავკასიას, არ მისცემს მას ისეთს მნიშვნელოვან საზღვაო ბაზას, როგორიც ბათუმია. ამიტომ ჩვენ ყოველ შემთხვევისათვის მზათ უნდა ვიყვეთ. და თუ საერთაშორისო მდგომარეობა შეიცვლება, ჩვენც ამის მიხედვით უნდა შევცვალოთ ჩვენი პოლიტიკა. ეს არ ნიშნავს ქანაობას და უპრინციპობას, პირიქით: ჩვენი მიზანია დემოკრატია, ხალხი გადავარჩინოთ განადგურებას და რაც ამაში ხელს შეგვიწყობს, ყველაფერი დასაშვები და მისაღებია.

ერთი რამ კი მუდამ უნდა გვახსოვდეს: რაც უნდა სუსტი ვიყვეთ საერთაშორისო ფერხულში, საკუთარი შეიარაღებული ძალა მაინც გვჭირია. ამიტომ მოვუწოდებთ ჩვენ ყველა მოქალაქეს შეიარაღებისაკენ. გულს ნუ გაგვიტეხს დროებითი დამარცხება. საერთაშორისო მდგომარეობა ისეთია, რომ შესაძლებელია საფრთხეს თავი დავახწიოთ, მხოლოდ ამისთვის საჭიროა ძალების მოკრება და ომისთვის მზადება. ვისაც ზავი სურს—ომისთვის უნდა ემზადოს—ეს ძველი ჭეშმარიტება, საუბედუროთ, დღესაც ძალაში რჩება.

ჩვენი პოლიტიკა რეალურ ძალთა განწყობილების შედეგია და ვინც ამ პოლიტიკას იწუნებს, მან უნდა დაამტკიცოს, რომ ჩვენ შექმნილ გარემოებას ანგარიშს არ ვუწევთ.

ერთი რეზოლიუციის გამო

გუშინდელ ნომერში მოთავსებულია მთიულების რეზოლიუცია ამიერ-კავკასიაში შექმნილ მდგომარეობის შესახებ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მთიულებს, ისე როგორც ამიერ-კავკასიის ყველა ერებს, ანუ უკეთესათ რომ ვთქვათ ყველა ერის დემოკრატიას, არა თუ არ სურს ომის ატეხა, პირიქით მთელი მისი ძალ-ღონე იქით იყო და არის მიმართული, რომ ეს საშინელი სისხლის ღვრა და ერთმანეთის ჟლეტა თავიდან იქნეს აცილებული.

ამისთვის კავკასიის დემოკრატიამ არავითარი საშუალება არ დაზოგა. მან სასაზავო მოლაპარაკება გამართა ოსმალეთთან, დათმობის გზასაც დაადგა და ისეთი ადგილები, რომელნიც ოსმალეთის იარაღს არ აუღია, მაინც დაუთმო მას, ოღონდ ომი და სისხლი თავიდან აეცილებია. მთიულების დელეგაციაც ამას ხელს უწყობდა. ჩვენ საჭიროთ ვსცნობთ ეს ხაზგასმით აღვნიშნოთ. მთიულებს სურდათ ოსმალეთთან საქმე მორიგებით გათავებულიყო. მათ ამ მიზნით თხოვეს ოსმალეთს თავის მხრივ თავის მოთხოვნები შეეკვეცა.

მაგრამ ეს არ მოხერხდა. ოსმალეთი მტკიცეთ ადგა იმ გზას, რომ ამიერ-კავკასიისთვის მოეჭრა ყოველი გზა განვითარების, ეკონომიური აღორძინების, დამოუკიდებელი არსებობის. ვინ არ იცის, რომ უბათუმოთ ბაქოს მნიშვნელობა ნახევრდება. უბათუმოთ შავი ზღვის ნაპირებს თითქმის ყოველი ფასი ეკარგება. და ამით სათავეშივე ეთხრება ნიადაგი დამოუკიდებლობას.

მთიულებს უნდათ ეს დამოუკიდებლობა განხორციელდეს. კიდევ მეტი: მათ უნდათ თვითონაც ამ დამოუკიდებლობის მონაწილენი შეიქნენ. კეთილი და პატიოსანი. მაგრამ ისინი ვერ ხედავენ, რომ მათ ასეთ მისწრაფებას ბოლო მოუღეს ფაქტიურათ ოსმალებმა, როცა ოდნავი დათმობაც კი არ მოისურვეს ტრაპიზონში. ეს კი მათ რეზოლიუციაში ოდნავათაც არ არის აღნიშნული. იქ არ არის ნათქვამი, რომ დამოუკიდებლობას პირველი ლახვარი ჩასცა რაუფ-ბეის შეურიგებელმა ტონმა, მისგან ყოველგვარ დათმობაზე უარის თქმამ.

ამის მაგიერ მთიულების რეზოლიუცია მწუხარებით აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიამ ომი გამოუცხადა ოსმალეთსო. ეს ფაქტიურათ არ არის მართალი. ომი დაიწყო ოსმალეთმა და არა ამიერ-კავკასიამ. სეიმმა მხოლოდ აღიარა ეს ფაქტი. 31 მარტს მან მხოლოდ გამოიწვია უკან სამშვიდობო დელეგაცია. სამხედრო მოქმედება უკვე მანამდე წარმოებდა ჩვენ საზღვრებ შიგნით. სარაყამიშის აღება, არტაანის დაჭერა, ბათუმზე შემოსევა—ყველა ეს მოხდა 31 მარტამდე. ცხადია ომი ჩვენ დიდიხანია გვაქვს.

განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ წინეთ სამხედრო მოქმედებასთან ერთათ, პარალელურათ წარმოებდა საზავო მოლაპარაკება.

მაგრამ ამ მოლაპარაკებას ზავის საქმე ოდნავათაც არ წაუწევია წინ. პირიქით ამ მოლაპარაკების განმავლობაში სისხლის ღვრა თანდათან გაძლიერდა და ამის შემდეგ განა შეიძლება ომის ინიციატორათ ამიერ-კავკასიის დასახვა?

რასაკვირველია არა.

ჩვენ არც ახლა გვსურს ომი, და თუ ოსმალეთი დასთანხმდება, ჩვენ ახლაც მზათ ვართ სამხედრო მოქმედებანი შევწყვიტოთ და მოლაპარაკება გავმართოთ. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ვატყუოთ ხალხი და თავის თავი საზავო ილიუზიებით, როცა მტერი ჩვენი ქვეყნის შუაგულისკენ მოიწევს.

და თუ მთიულებს სურთ ნამდვილი სამსახური გაუწიონ მშვიდობიანობის საქმეს—პირველათ ყოვლისა უნდა მთელი თავის ძალ-ღონით იზრუნონ სამხედრო მოქმედებათა შესაჩერებლათ. მაშინ ზავსაც რეალური ნიადაგი მიეცემა. მაშინ მათ სურვილსაც დამოუკიდებლობის შესახებ მეტი საფუძველი ექნება განსახორციელებლად.

ზავი და ომი ერთად კი შეუძლებელია.

ომი და აჯანყება

როცა საფრანგეთს გარეშე მტერი შემოესია დიდი რევოლიუციის დროს, შინაურმა მტრებმაც დრო იხელთეს და აქა-იქ აჯანყებები მოაწყვეს, მაგ. ვანდეაში და ზოგიერთ ქალაქებში.

როცა რევოლიუციურ ამიერ კავკასიას მტერი მოაწვა—ჩვენშიაც ამგვარათვე იჩინა თავი თავისუფლების მტერთა მოღალატურმა მოქმედებამ. ბნელი ძალები ხან ბოლშევიზმის, ხან სხვა სამოსელში გახვეულნი სწორეთ იქ, იმ ადგილებში ცდილობენ სამოქალაქო ომის გაჩაღებას, რომელიც დაახლოვებულია ფრონტზე.

ბათუმის ომებს მოყვა აჯანყება სამეგრელოს ზოგიერთ ადგილებში, რომელსაც მოსული ცნობებით ყოფილი პოლიციელები, და ზოგიერთი რეაქციონური თავადები ხელმძღვანელობენ.

სწორეთ იმ დროს, როცა ყველა პოლიტიკური პარტიები განურჩევლათ თავის ორიენტაციისა, და პოლიტიკური რწმენისა, ერთსულოვნათ გამოდიან საბრძოლველათ ჩვენი პატარა კუთხის დასაცველათ ოსმალეთის შემოსევისაგან, ეს სამშობლოს და რევოლიუციის გამყიდველნი, მას ზურგიდან ლახვარის ჩაცემას უპირებენ და თავდაცვის საქმეს აფერხებენ.

საფრანგეთის დიდი რევოლიუციის მეთაურობა ასეთ საბედისწერო გადამწყვეტ მომენტში, როცა შეუდარებელი გაბედულება და თავგანწირული გმირობა იყო საჭირო, სამშობლოს და თავისუფლების დასაცველათ, ისტორიულმა ჩარხმა იაკობინელებს არგუნა. ეს იყო ყველაზე დემოკრატიული და ყველაზე რევოლიუციური ნაწილი მაშინდელი საზოგადოებისა.

და მათ სასტიკი, შეუბრალებელი ხელით შემუსრეს ქვეყნის მტერნი და ორგულნი. დაუჯერებელის რეპრესიების შემოღებით, განსაკუთრებელი შეუბრალებ-

ლობით მათ სისხლში ჩაახრჩეს რეაქციონერთა გულის წადილი. და თუმცა თვითონაც თან გადაყვენ, მარა რევოლიუცია გარედან შემოსულ მტერს არ გააჰყლეტინეს.

ჩვენში რევოლიუციის მეთაურობა სოციალდემოკრატიულ პარტიას შეხვდა. და მისგან მიღებულმა პირველმა რეპრესიულმა ზომებმა საზოგადოებაში ერთი აურ-ზაური გამოიწვია. მარა განა გარეშე რეპრესიებისა შეიძლება დაცვა რევოლიუციისა და თავისუფლების დღევანდელ პირობებში?

და ჩვენ ვიცით, რომ ასეთ ზომებმა თფილისში და ბევრგან სხვაგანაც გააჩუმეს ნაძირალები, დაამყარეს რევოლიუციური წესიერება.

მთა, ანუ იაკობინელები, ხალხს არ იბრალებდა, რომ დამნაშავე დაესაჯა. უკეთესია ათი უდანაშაულო დაისაჯოს, ვინემ ერთი დამნაშავე და საქმის ამრევი დარჩესო, ასეთი იყო მათი მოქმედების აზრი. მაგ. მათ მთელი სოფელი გადაწვეს იმისთვის, რომ ამ სოფელში არსებული ყალბი ფულების საჭრელი მანქანა გაენადგურებიათ, რომელიც ვერ აღმოაჩინეს, რადგან მცხოვრებლები ბოროტმოქმედთ იფარავდენ.

მეოცე საუკუნეში ასეთ გვარ რეპრესიების ხმარება უდიდესი ბოროტება იქნებოდა თვით რევოლიუციისთვის. დღეს ხალხის შეგნება იმდენათ მაღლა დგას, რომ ასეთ მოძრაობას ვერ აიტანს. და მას ჩვენში დღეს ადგილი არ უნდა ექნეს.

რეპრესიები უდა დაატყდეს ნამდვილ დამნაშავეებს და რამდენათაც კი შესაძლებელია, ყოველი საშვალებით უნდა ავაშოროთ უდანაშაულო ხალხს.

დღევანდელი ხელმძღვანელები ჩვენი რევოლიუციის სწორეთ ასეთ გზას ადგებიან.

მაგრამ გულჩვილობა და სირბილე შავრაზმელობასა და ღალატთან ბრძოლაში შეუძლებელია, მოტყუებულ ხალხს უნდა ჩაგონება. მომტყუებელს და შემცდენელს კი უსასტიკესი დასჯა.

იაკობინელები მეტათ მტკიცე ნების და გაბედული საქმიანობის ხალხი იყო. დღევანდელმა მესვეურებმაც ეს თვისებები უნდა გამოაჩინონ, რადგან მხოლოდ ამით შეიძლება დღევანდელ კრიტიკულ მდგომარეობიდან თავის დაღწევა.

ჩრდილო კავკასიის ამბები

გროზნას სამხედრო რევოლიუციონურმა საბჭომ დაღესტნის საგანგებო სამშვიდობო დელეგაციის წარმომადგენელ შეიხ უზუნ ჰაჯისაგან წერილი მიიღო, სადაც წინადადებას იძლევიან:

1) გაუშვან 17 მარტს ყველა დატყვევებული ჩეჩნები; 2) გამოუშვან გროზნაში მყოფი ყველა დაღესტნლები თავიანთ ქონებით, რომლებიც ტყვეების მდგომარეობაში არიან იმ დროს, როდესაც დაღესტანში უკვე თავისუფალ მოქალაქის უფლებით სცხოვრობს; 3) გახსნან ქ. გროზნაში შესასვლელი ყველა გზები, რადგან ეს ქალაქი სხვადასხვა ეროვნების ყველა მრეწველებს და მუშებს ეკუთვნით და ჩეჩნების ცენტრია მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან ერთათ. ჯარებმა სამხედრო მოქმედება უნდა შესწყვიტონ და იქითკენ გადვიდენ, საითაც მოისურვებენ. ამ წინადადების აუსრულებლობას ქალაქში დარბევა მოჰყვა, ამაში პასუხს აგებს ქ. გროზნას ყველა ორგანიზაციები. გთხოვთ პასუხი ხვალ გამომიგზავნოთ. თუ არ გვიპასუხეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ გროზნას ყველა ორგანიზაციას, მათ რიცხვში მოქალაქეთ და მუშებს უნდათ ჩეჩნებთან და დაღესტნელებთან ომი დაიწყონ, მათ არ უნდათ თერგის და დაღესტნის ოლქის მუსულმანებთან ზავი, რაიც გვაიძულებს „გაზავატი“ (სამღვთო ომი) გამოვაცხადოთ იმათ წინააღმდეგ, რომლებიც რევოლიუციის მიერ ბოძებულ თავისუფლებას ეხებიან.

ამის საპასუხოთ გროზნის სამხედრო რევოლიუციონურმა საბჭომ განიხილა რა დაღესტნელების წერილი აცნობა მათ, რომ სამხედრო რევოლიუციონური საბჭო სამშვიდობო მოლაპარაკების დროს მუდამ იმ აზრის იყო, რომ რაც შეიძლება ადრე მომხდარიყო ეს ზავი, რომ სხვადასხვა ეროვნებათა მშრომელ ხალხს შესძლებოდა მეგობრულათ ცხოვრება. ამის შესახებ საბჭომ ყოველივე ზომები მიიღო. ჩვენ გვწამს, რომ ჩეჩნებს უნდათ ზავი, ამიტომ ჩვენი წრფელი სურვილია დავინახოთ მათი წარმომადგენლები თერგის ოლქის მშრომელ ხალხთა ყრილობაზე, ჩვენ გავანთავისუფლეთ ჩეჩნების არჩეული ტოკაევი, მაგრამ ვილაცის ხელმა ჩეჩნებს აღარ დააცალა ყრილობაზე წასვლა.

კავკავი (დეპეშა) ეკატერინოდარის ახლოს ხუთი დღე ბრძოლაა გენ. კორნილოვსა და ბალშევიკებს შორის. ბრძოლაში აქ კორნილოვი დამარცხდა. თვით კორნილოვი მოკლულ იქნა. ბალშევიკებს მოუკლეს 200 კაცი, დაუჭრეს 1000. კორნილოვს მოუკლეს 500 კაცი, 200 ტყვეთ წაიყვანეს ბალშევიკებმა.

ახალი ამბები

ჩოლოქის პოზიციებიდან გუშინ, 5 აპრილს თფილისში ჩამოვიდა ამხ. ვლასა მგელაძე, რომელმაც შემდეგი გვიამბო: ჩვენი რაზმი ცხინვალიდან წავიდა ბათუმისაკენ. 31 მარტს სამტრედიაში ვიყავით. ჩვენი ჯარების მიერ ბათუმის დატოვების ამბავი პირველათ აქ გავიგეთ. ამის თვალსაჩინო მაგალითიც ის იყო, რომ აუარებელი გამოქცეული ჯარისკაცები მოდიოდენ შეიარაღებულნი. ნამდვილი ცნობაა, რომ ბათუმი მტერმა აიღო სულ მცირე ძალით, რასაც ხელი შეუწყო მტრისავე მიერ კარგათ მოწყობილმა პროვოკაციამ. როცა ოსმალები შემოვიდენ ქალაქში, იმ ჯარის ნაწილებში, რომლებშიაც ერთნაირი რყევის ხალხი სჭარბობდა, ხმა გავრცელდა—მეთაურებმა გვიღალატეს, მტერს მიგვცეს პირში და ს. ხ. ამ დროს ჯარისკაცებში ხმა გავრცელდა—ზავი ჩამოვარდა, ბრძოლა შეწყვეტილიაო. თეთრი ბაირაღიც გამოჩნდა. ყველა ამის გამო ისეთი მდგომარეობა შეიქნა, რომ ჯარისკაცთა უმრავლესობამ ბრძოლის უნარი დაჰკარგა, ის უბრალო ბრბოთ იქცა და უწესრიგოთ გამოიქცა. თავიანთ „პოსტებზე“ დარჩენ შეგნებული ჯარისკაცები და აფიცრები, რომლებმაც ბრძოლა განაგრძეს, მაგრამ ისინი, აბა, რას გახდებოდენ. მახლობელ სადგურებზე მოხდა ჯარისკაცების კრებები. გადაწყდა უკან დაბრუნება. აქ ჯარისკაცებმა თითონ მოჰკიდეს საქმეს ხელი. ოსმალების მცირე რიცხოვან რეგულიარულ ჯარს ბათუმში შემოყვენ აჭარლები მრავლად. მრავლად გაჩნდენ აგრეთვე შეიარაღებული რაზმები აჭარლებისა და ქობულეთლებისა ქობულეთის რაიონში. ამ რაიონში ოსმალთა რეგულიარული ჯარების ნატამალიც არ არის. აქ იბრძვიან აჭარლები და ქობულეთლები. ჩვენი ჯარი ამ ჟამად გაჩერებულია მდ. ჩოლოქის გასწვრივ, სადაც ამაგრებს პოზიციას. არევ-დარევის ხანამ განვლო. ახლა ჯარისკაცები საერთოდ საქმეს შეგნებულათ ეკიდებიან.

◆ **პეტროგრადიდან** გუშინ ჩამოვიდა ამხ. კალისტრატე გოგუა, რომელმაც შემდეგი გვიამბო: არმავირში 26 მარტს (8 აპრილს) ჩვენს ვაგონს გარს შემოერტყენ თითქოს ბალშევიკების მომხრე ჯარისკაცები, ნამდვილათ კი,—ხულიგანთა ბრბო. ჩვენთან ერთად მოდიოდენ პეტროგრადიდან პოლონელები და რუსები კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. ბრბოში გაჩნდენ ისეთი პირები, რომლებიც ხალხს აქეზებდა ჩვენ წინააღმდეგ, როგორც კონტრ-რევოლიუციონერების. ბრბომ იქვე დახვრიტა 38 კაცი. დახვრეტილთა გვამები შემდეგ ხმლებით აკუწეს. დახვრიტეს: ალექსანდრე კეზელი (აფიცერი) ვარლამ საყვარელიძე (ექიმი), კოწია წულუკიძე (სტუდენტი), გიორგი ჯღენტი (კაპიტანი), დიმიტრი მანსვეტოვი (შტაბს-კაპიტანი), ირაკლი ამირაჯიბი (ვაჭარი), ალექსანდრე ნაკაშიძე და ილია მიქელაძე (სტუდენტები), ნიკოლოზ კორძაია (პორუჩიკი), ისიდორე ჩიქოვანი (უფროსი უნტერ-აფიცერი) და სამი ძმა ჩემოდანოვები (აფიცრები). ყველას ამათ ისე როგორც ჩვენ ჰქონდა სახალხო კომისართა საბჭოსაგან შესაფერი ქაღალდები. კალ. გოგუასთან ერთად ჩამოვიდა აპ. ურუშაძე.

◆ **თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომა** შესდგება სახალხო სახლში შაბათს, 7 აპრილს, საღამოს 6 საათზე.

◆ ქართულ „**საპიორის ბათალიონში**“ ჩაწერა შეიძლება ყოფილ სამხედრო სასწავლებელში მიხეილის ქუჩაზე.

ქუთაისიდან გუბერნიის კომისარი ივ. კახუხაშვილი იტყობინება, რომ როგორც მას გადასცა აფხაზეთის სახალხო საბჭოს წარმომადგენელმა შერვაშიძემ, სოხუმში ბალშევიკებს დაუტუსაღებიათ ქალაქის თავი ბენია ჩხიკვიშვილი, თვითმართველობის ორი წევრი და ზოგიერთი ვაჭარი.

◆ **გურიის დაცვის კომიტეტი** დაიყო სექციებათ: საფინანსო სექცია, შედიან: ნინო ნაკაშიძე, პეპ. ბერეჟიანი, ილიკო გოგელია, სილბისტრო თავართქილაძე და ბარ. კილაძე. სამხედრო სექციაში: კირ. ნინიძე, არ. მამულაიშვილი, ფ. ლორია და კ. დოლიძე, სანიტარულ სექციაში: ექიმი ივ. თიკანაძე, მათე ღლონტი და თედორე ქარცივაძე, სასურსათო კომიტეტში თ. კიკვაძე და ე. სამსონია.

◆ **სად. არაქსიდან** იტყობინებიან, რომ 2 აპრილს ქურთები, რიცხვით 400 კაცამდე თავს დაესხენ სადგურს. გაძარცვეს იქ მყოფნი. 10 კაცი მოკლეს.

◆ **სამტრედიის ქალაქის თავი** პაპავა სთხოვს მთავრობას მისცენ სამტრედიის თვითმართველობას 200 ათასი მანეთი, რადგანაც ბათუმის დაცემის შემდეგ სამტრედია სამხედრო პუნქტათ გადაიქცა და ეს კი დიდ ხარჯებს მოითხოვსო.

◆ **საზავო დელეგაციის** კრებაზე 4 აპრილს განიხილეს პროექტი მოხსენებისა, რომელსაც ა. ი. ჩხენკელი წარუდგენს სეიმს. ამავე საღამოს მოხდა შეერთებული სხდომა დელეგაციის და მთავრობის. დელეგაციის თამჯდომარემ ვრცელი მოხსენება გააკეთა საზავო მოლაპარაკების შესახებ.

◆ **შემახიდან** თფილისში ბევრი ლტოლვილნი ჩამოვიდენ. მათის გადმოცემით ავაზაკები ძარცვავენ მალაკნების და რუსის სოფლებს. სომხებს კი ჟლეტავენო.

◆ **ქალაქის გამგეობამ** დაადგინა, თფილისის ყველა „ფინჯან ჩაები“ დაიკეტოს და მის მაგივრათ გაიხსნას იაფ-ფასიანი სასადილოები. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანამდე ფინჯან ჩაები“ უნდა იკეტებოდეს საღამოს 8 საათამდე.

◆ **ნიხრის დარღვევისათვის** მილიციის უფროსის განკარგულებით შეიპყრეს შემდეგი პირნი: მეწვრიმალე ბაგდასარ სიმონიანი, ფეხსაცმელების დუქნის პატრონი ბოჯიანი—ერთი თვით, შახნაზაროვი—ორი კვირით, მედუქნე მერაბიშვილი—ორი კვირით.

კრებები და მიტინგები.

დღეს, 6 აპრილს, საღამოს 5 საათზე, შესდგება მორიგი კრება მეოთხე რაიონის ს. დ. მ. პ. ამხ. და თანამგრძნობ ქალთა. გასარჩევია მეტათ საჭირბოროტო კითხვები. გთხოვთ აუცილებლად დაესწროთ (საუფლისწულო ქ. № 3.).

— პარასკევს, 6 აპრილს, საღამოს 6 საათზე მეოთხე რაიონის წითელგვარდიელთა შტაბის შენობაში დანიშნულია ამავ რაიონის წითელგვარდიელთა საზოგადო კრება. ამხანაგებს ვსთხოვთ დროზე გამოცხადდენ კრებაზე.

— ხვალ, საღამოს 7 საათზე დანიშნულია მორიგი სხდომა მე 2 სამილიციო უბნის მცირე კოლექტივისა (ჭავჭავაძის ქუჩა № 9). სთხოვენ ყველა წევრებს აუცილებლათ დაისწრონ.

თავდაცვა გარეშე მტრისაგან

ამიერ-კავკასიის თავდაცვის უმაღლესი საბჭოს დებულება.

1) სეიმის მარტის 31-ის სხდომაზე მიღებულ დადგენილებით არსდება ამიერ კავკასიის დაცვის უმაღლესი საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: მთავრობის თავმჯდომარე ე. პ. გეგეჭკორი, ფინანსთა მინისტრი კარჩიკიანი და შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი.

2) თავდაცვის უმაღლეს საბჭოს მიზანია ამიერ კავკასიის მმართველ ორგანოების და კავკასიის ლაშქრის მოქმედების გაერთიანება, რათა უზრუნველჰყოს ჯარისა, მცხოვრებთათვის უკეთესი პირობები და უკუაქციოს ამიერ-კავკასიაში შემოჭრილი მტერი.

3) თავდაცვის უმაღლეს საბჭოს საგანგებო ძალა-უფლება ენიჭება და მისი ან საბჭოს ცალკე წევრების განკარგულებანი, რომლებიც საბჭოს სახელით იქნება გაცემული, უნდა შეასრულოს მთავრობის დაწესებულებებმა, საზოგადო სამმართველოებმა, ორგანიზაციებმა, ყველა დაწესებულებათა მოხელეებმა და ყველა მცხოვრებლებმა.

4) კავკასიის ლაშქრის მთავარ-სარდალი პირდაპირ ემორჩილება თავდაცვის უმაღლეს საბჭოს და თავისუფალი რჩება საოპერაციო განკარგულების გაცემაში და საბჭოსაგან მხოლოდ საერთო საოპერაციო მიზნების შესახებ იღებს განკარგულებებს.

5) მინისტრები და ცალკე დაწესებულებათა გამგეობანი პირდაპირ თავდაცვის საბჭოს ექვემდებარებიან.

6) თავდაცვის საბჭოს ყოველგვარ განკარგულების და ბრძანების დამრღვეველნი მაშინვე იქნებიან დასჯილნი სასტიკად.

7) თავდაცვის უმაღლესი საბჭო მოქმედებას იწყებს აპრილის 3.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რა დაჰკარგა რუსეთმა?

„ნოვაია ჟიზნ“-ში ი. პილეცკი ეხება რა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობას შემდეგს სწერს:

„თუ რა შედეგი მოყვა გერმანელებთან შეკრულ ზავს, მსჯელობაზე უფრო ნათლათ დაგვანახვებს ამას ფაქტები, ციფრები.

რა დაკარგა რუსეთმა და რა შეიძინა გერმანიამ.

ჩვენ მხედველობაში ვიღებთ ზავის პირობებს და გვგონია, რომ რუსეთმა დაკარგა პოლონეთი, ლიტვა, ბალტიის მხარე, უკრაინა, ბესარაბია და კავკასიის ნაწილი.

ფინლიანდიაზე ჩვენ არაფერს ვამბობთ, რადგან ის უწინაც ცალკე ეკონომიურ ერთეულს წარმოადგენდა და რუსეთის საზღვარზე დამოუნაც ქონდა.

ჩვენს განხილვაში შედის: პოლონეთის 9 გუბერნია, ხოლმშჩინა; ბალტიის 3 გუბერნია, ბესარაბია, უკრაინა, კიევის, ჩერნიგოვის, ხერსონის, ვოლინის, პოლტავის და პოდოლის გუბერნიებით, აგრეთვე ბათუმის და ყარსის ოლქები. აქ არ შემიტანია არც ხარკოვის გუბერნია, რადგან უკრაინა გვედავება მას, არც მინსკის და ვიტებსკის გუბერნიები, რადგან არ ვიცით როგორი იქნება მომავალი საზღვრები. ამიტომ ჩვენი ციფრები ნამდვილზე ნაკლები იქნება, მაგრამ მაინც დიდი და საშინელი.

რუსეთი კარგავს 707 ათას კვადრატ ვერს ტერიტორიას, რომელზედაც 46 მილიონი მცხოვრებია. თუ კი მხედველობაში მივიღებთ მას, რომ რუსეთის რესპუბლიკა ზომით 18,869 ათასი კვად. ვერსია, დავინახავთ, რომ 4 პროცენტია დაკარგული. მაგრამ ეს ადგილები ყველაზე უფრო ნაყოფიერი და მჭიდროთ დასახლებულია.

ამრიგათ, 175 მილ. მცხოვრებიდან, გვრჩება მხოლოდ 129 მილიონი—ესე იგი ვკარგავთ 26 პროც. მეოთხედზე მეტს.

მთელ რესპუბლიკის ქალაქების მცხოვრებთა რიცხვიდან, რომელიც შეადგენდა 27 მილიონს, მარტო დაპყრობილ ქალაქებში დავკარგეთ 9,500 ათასი მცხოვრები ესე იგი, 35 პროც., ანუ მესამედზე მეტი. თუ კი წინათ 1 კვად. ვერსზე მოდიოდა 9,3 ადამიანი—ახლა, ადგილების დაკარგვის შემდეგ უფრო შემოგვაკლდა ხალხი და ზავის შემდეგ 1 კვად. ვერსზე მხოლოდ 6,4 ადამ. მოდის,

რას წარმოადგენდა მეურნეობის მხრივ დაპყრობილი ადგილები? მართალია, პოლონეთის და ლიტვის გუბერნიებში პური საკმაოთ არ მოდიოდა, მაგრამ სამაგიეროთ ჩვენ დავკარგეთ უკრაინა და ნოვოროსია, რომელიც დიდძალ პურს იძლეოდა. ჩვენ დავკარგეთ 2,174 ათასი დესეტინა სახნავ-სათესი ადგილი, რომელზედაც საშუალოთ 2,896 მილიონი ფუთი პური და კარტოფილი მოდიოდა.

ამრიგათ, 104,828 ათას დეს. სათესი ადგილი შემცირდა 706,654 ათას დესეტინამდე, ე. ი. 27 პროც.—მოსავალი კი—7,900 მილ. 5,004 მილ. ფუთამდე, ე. ი. 37 პროც.

თუ წინათ ერთ სულზე მოდიოდა 45 ფუთი პური და კარტოფილი, ახლა მხოლოდ 35 ფუთი მოდის. როგორც ხედავთ, რუსეთი ახლა უარეს პირობებშია, ვიდრე წარსულში იყო.

უნდა ვთქვა აგრეთვე ისიც, რომ აქ აღებულია ციფრები, რომელიც ჩვენ ომამდის გვქონდა. ომის წელიწადებში, ისედაც დაცემული მოსავალი, უფრო დაეცა; დაგვაკლდა სათესი მიწები, დავკარგეთ მოსავლიანი გუბერნიები და ამ გარემოებამ უფრო გაამწვავა მდგომარეობა.

ახლა თვალი გადავავლოთ მრეწველობას და რკინის გზებს. ჩვენ გვაქვს, დაახლოვებით, 66 ათასი ვერსი რკინის გზა. ახლა ჩვენ ვკარგავთ 17,500 ვერსს, ესე იგი, მეოთხედს. ისედაც გზებს მოკლებული რუსეთი ახლა უფრო დიდ გაჭირვებას განიცდის ტრანსპორტის მხრივ და ამასვე დაუმატეთ კიდევ ის გარემოება, რომ დავკარგეთ მრავალი პირველ ხარისხოვანი და დიდმნიშვნელოვანი სადგურები.

რაც შეეხება მრეწველობას, ჯერ კიდევ 1912 წ. ძველი ცნობებით ჩვენ გვქონდა 32,600 სამრეწველო დაწესებულება, რომელნიც აკეთებდენ 2,800 მილ. მანეთისას, ამუშავებდა 2,075 ათას

რაშია ჩვენი რევოლიუციის სუსტი მხარე

(დასასრული).

7.

მესამე „მამოძრავებელი ძალა“ რუსეთის რევოლიუციისა **პროლეტარიატია.** ჩვენის წარმოდგენით, და ნამდვილათაც, ეს კლასი ყველაზე დაშორებულია მეშჩანურს, მეწვრიმალურს სულს, ყველა კლასებზე მეტათ „სოციალური“ კლასია, ყველაზე მეტათ შეუძლიან წუთიერ, პირადულ, ჯგუფურ ინტესებზე მაღლა დადგეს და იმოქმედოს საუკუნოსთვის, მომავლისთვის, საზოგადოსთვის. ჩვენს პროლეტარიატს ყველა სხვა კლასზე მკაფიოთ აქვს წარმოდგენილი, რა შეუძლიან მოგვცეს წესწყობილების გადატრიალებამ და ყველაზე უკეთესათ შეუძლიან დაუმორჩილოს თავისი მოქმედება წინასწარ დასახულს მიზანს, ამიტომ პროლეტ. ყველა სხვა კლასებზე ნაკლებ ითვისებს ანარქისტულს ყოფაქცევას.

ასეთი წარმოდგენა გვაქვს პროლეტარიატზე და განვითარებულ ქვეყნების პროლეტარიატი ნამდვილათაც ასეთია. დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის თვისებები ჩვენ გვინდოდა ჩვენს პროლეტარიატშიც დაგვენახა, ეს თვისებები მას თითქოს ემჩნეოდა კიდეც, მაგრამ, სამწუხაროთ, ამ თვისებების მხოლოდ ჩანასახი აღმოჩნდა. რუსეთის პროლეტარიატი ჯერ კიდევ მაგრაა გადაჯაჭვული სოფელთან, მასში ჯერ კიდევ მაგრათ ზის გლეხკაცი, გლეხკაცური სულის განწყობილება. და მასაც არ შეიძლება არ დასდებოდა გლეხურ-მეშჩანური ელფერი.

და მართლაც, სამწუხაროთ, ეს გლეხურ-მეწვრიმალური ბეჭედი ატყვია პროლეტარიატის მოქმედებას დიდი რევოლიუციის დროს.

ეჭვი არ არის, ჩვენი ყოფილი ლიბერალური და დღეს კონტრ-რევოლიუციონერებათ გადაქცეული ბურჟუაზიული წრეები ბევრს ამეტებდენ, როდესაც გაჰყვიროდენ მუშათა კლასის „უპატრიოტობის“ შესახებ. მაგრამ თვით ამ მუშათა კლასის იდეოლოგებიც გამოტყდებიან, რომ პროლეტარიატმა, მცირე მოწინავე ნაწილის გამოკლებით, რევოლიუციას ისე არ შეხედა, როგორც „საგმირო საქმეს“, როგორც საშინელ მოვალეობას, უდიდეს პასუხისმგებლობას, რომელიც ბედმა უმთავრესათ მას დააკისრა. პროლეტარიატის მოქმედება რევოლიუციის განმავლობაში გვაჩვენებს, რომ რევოლიუციისგან იგიც სხვასავით დაუყონებლივ სარგებლობას, მოგებას მოელოდა, სამუშაო დროს დაუყონებლივ შემცირებას და სამუშაო ხელფასის უმაღლეს ხარისხამდის აწევას. თვით პროლეტარიატის ბელადები, ისეთნი, როგორიც გ. პლეხანოვია, მალ-მალ აგონებდენ მადა გახსნილ შეუგნებელ ნაწილს მუშებისას,—რომ ჩვენ ომის ხანაში ვცხოვრობთ, რომ **საჭიროა მსხვერპლი,** საჭიროა რევოლიუციონურ სამშობლოსთვის, მისი ბედნიერ მომავლისათვის ტანჯვა და გაჭირვება აიტანოთო. ამნაირი მოწოდებანი ნაკლებ მოქმედებდენ პროლეტარიატის მეშჩანურ ელემენტებზე; მათი მოთხოვნილებები გაკოტრებულ სახელმწიფოს მიმართ სულ იზრდებოდა. და თუ სახელმწიფო რომელიმე წარმოებას შეაჩერებდა, ზოგიერთა წარმოების მუშები მაინც თხოულობდენ მისგან ხელფასს: **არაფრის გაკეთებაში ხელფასის აღება ეს სახელმწიფოს პენსიონერათ გადაქცევას ნიშნავს.** აღმაშფოთებელ სურათს მოვესწარით: მუშების ზოგიერთი ნაწილები დაემსგავსენ ძველ რომის ლუმპენპროლეტარებს, ბოგანოებს, რომლებიც სახელმწიფოს მატლებივით მისევოდენ და სწოვდენ. როგორც ირ. წერეთელმა სთქვა, „**ბურჟუაზიის ახალი კადრი გაჩნდა**“—სახელმწიფოს პენსიონერები.

ამნაირათ, იმ კლასმაც, რომლის შეგნებაზე ყველაზე უფრო მეტს იმედს ვამყარებდით, რომელმაც უნდა თავის ზურგზე გადიტანოს მთელი სიმძიმე რევოლიუციისა, იმ კლასმა, რომლის შესახებ 35 წლის წინათ პლეხანოვმა სთქვა, რომ „რუსეთის რევოლიუცია ან გაიმარჯვებს, როგორც მუშათა კლასის რევოლიუცია, ან სულ ვერ გაიმარჯვებსო“, იმ კლასმაც ჯერ-ჯერობით ვერ გაამართლა ის იმედები, რომლებსაც რევოლიუცია ამყარებდა მაზე, ეს კლასიც ვერ ამოდგა **თავისუფალი იმ მეწვრიმალურ, პირადული ანგარიშისაგან,** როგორც ეს საჭიროა რევოლიუციის გასაძლიერებლათ და გასაღონიერებლათ.

8.

ეს უმთავრესი „მამოძრავებელი ძალები“, თუ მივმართავთ საზოგადოების სხვა ნაწილებს, რომლებსაც უაღრესად მეშჩანური ნაწილები დაერქმის, რა თქმა უნდა, სურათი არ შეიცვლება. თვალი გადავავლოთ, მაგალითად, ურიცხვ კავშირებს, რომლებიც ერთბაშად შექმნა „თავისუფლების“ ცხოველმყოფელმა მზემ. გავშინჯოთ „მასწავლებელთა კავშირი“, „ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კავშირი“, „რკინის გზის მოსამსახურეთა კავშირი“, „სახელმწიფო დაწესებულებათა კავშირი“ და სხვა და სხვა. ყველა ამ კავშირების მოქმედებაში ერთი თვისება გვეცემათ თვალში: რევოლიუციის დაწყებისათანავე ყველა ეს კავშირები **ჯგუფურ, პროფესიონალურ ინტერესების გამოკიდებაში ხედავენ რევოლიუციის აზრს,** ისინი სრულიად მოკლებულნი არიან „მთელის“, „საერთოს“, სახელმწიფოს ინტერესების შეგნებას. ეს „ოცი რიცხვის კაცები“, რომლებიც მრავალ წლობით გმინავდენ ჩინოვნიკურ მუხრუჭში, რევოლიუციამ „**აჯანყებულ მონებათ**“ გადააქცია. მათ გულუბრყვილოთ იფიქრეს, რომ რევოლიუცია სწორეთ მათთვის დაიწყო, რომ რევოლიუცია სწორეთ იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ პატარა მოხელეებმა ჩამოაგდონ თავიანთი დესპოტი უფროსები და ამ უფროსების ადგილზე წამოსკუპდენ ყველაზე მეტათ მყვირალა უმცროსები. რევოლიუციის დანიშნულება, მათი აზრით, იმაში უნდა ყოფილიყო, რომ მოხელეების ხელში უნდა ჩავარდნილიყო ყველა ის დაწესებულებები, სადაც ისინი მსახურებდენ: სასწავლებლები—მასწავლებლების ხელში, რკინის გზა, ფოსტა-ტელეგრაფი—რკინის გზის და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ხელში, კანცელარიები—სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა კომიტეტების ხელში. ისინი მიიღებენ და დაითხოვენ ვისაც მოინდომებენ. ასე ესმოდათ რევოლიუციის დანიშნულება. სრულიად არ იფიქრეს ერთ „წვრილმანზე“: მართალია, რევოლიუციამ უნდა ძველი წესები დაანგრიოს, მაგრამ სკოლა ხომ მასწავლებლებისათვის არ არის, არამედ ხალხისათვის; აგრეთვე ფოსტა, ტელეგრაფი, რკინის გზა, კანცელარიები—ყველა ეს ხომ ხალხის ოფლით არის შექმნილი, ხალხს სჭირია, და მაშ ხალხი, რომელმაც რევოლიუცია თავისთვის მოახდინა, რათ დაუთმობს ყველა ამ დაწესებულებებს იმათ, ვინც მათში მსახურობს?

9.

გადავიკითხოთ **მასწავლებელთა სიეზდების** რეზოლიუციები, გავეცნოთ, როგორი სასკოლო ორგანიზაციის შექმნა უნდოდათ მასწავლებელთა კავშირებს, სრულიად რუსეთის კავშირიდან დაწყებული რომელიმე პატარა ქალაქის კავშირამდე. მათი სახელოვანი „ავტონომია“ პედაგოგიურ საბჭოებისა ბოლოს და ბოლოს იმაში მდგომარეობს, რომ სკოლას, სწავლა-განათლების საქმეს აძლევს მასწავლებელთა ორგანიზაციების სრულს განკარგულებაში, ვინ არ იცის, რომ **ჯგუფურმა-პროფესიონალურმა** მიმართულებამ კინაღამ გაიმარჯვა კიდეც და კინაღამ დაღუპა სწავლა-განათლების საქმე: კერენსკის მთავრობა რომ თავის ადგილზე დარჩენილიყო, სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირის პროექტი უთუოდ კანონათ იქცეოდა.

ის შეხედულება, რომ მასწავლებელთა ორგანიზაცია უნდა იყოს სკოლის ბატონ-პატრონი, დემოკრატიზმის უკანასკნელ სიტყვით, თითქმის აქსიომათ, დოგმატათ გადაიქცა ყოველ მასწავლებლის თვალში. თქვენ რომ მასწავლებლისათვის გეთქვათ, რომ არც ერთი დემოკრატიული პროგრამა არ სცნობს სკოლის ამნაირ ორგანიზაციას, არც ერთი დემოკრატიული სახელმწიფო არ ანებებს მასწავლებელთა ორგანიზაციებს სკოლის ბატონ-პატრონობას და იმნაირ „ავტონომიას“, როგორიც ჩვენ მასწავლებლებს უნდათ,—გაკვირვებით შემოგხედავდათ და ან უვიცს გიწოდებდათ ან, უფრო ხშირათ, „კონტრ-რევოლიუციონერს“.

მოვიგონოთ მეორე მაგალითი ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კავშირის ისტორიიდან. მოვიგონოთ ამ კავშირის შეტაკება ფოსტა-ტელეგრაფის მაშინდელ მინისტრთან—ირ. წერეთელთან. კავშირმა მოითხოვა, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეების მიღება-დათხოვნა მათ კომიტეტის ხელში უნდა იყოსო. სოციალისტ-მინისტრმა ცირკულიარის საშუალებით აუხსნა თავის გულუბრყვილო ხელქვეითებს, რომ ის, რასაც დემოკრატიულ პროგრამებში „მოხელეების არჩევნები“ ეწოდება, იმას კი არ ნიშნავს **რომ მოხელეებს მოხელეებივე ირჩევენ, არამედ მათ თვით ხალხი ირჩევს.**

მესამე მაგალითი. „სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთ“ შეადგინეს პროფესიონალური კავშირი, შესთხზეს თავისი წესდება. ამ წესდებაში, სხვათა შორის, შეიტანეს პარაგრაფი, რომლის ძალითაც მოხელეების კომიტეტების განკარგულებაშია მოსამსახურეების მიღება და დათხოვნა. ეს უფლება მოხელეებმა თითონ მიიკუთვნეს, არავის არ ჰკითხეს, არ იკითხეს, როგორ შეხედავს ამას უმაღლესი მთავრობა. ეს წესი მისთვის მოსახერხებელი იქნება თუ არა, თავისივე შეთხზული „წესდება“ კანონათ გამოაცხადეს და უნდათ, რომ რევოლიუციონური მთავრობაც კი „წესდებით“ ხელმძღვანელობდეს. რომ ჰკითხოთ, რა უფლების ძალით უნდათ მათ ხელთ იგდონ ის, რაც მათ კავშირისთვის არავის მიუნიჭებია, ისინი იტყვიან, რევოლიუციურ წესით ვმოქმედობთო. „რევოლიუცია“, მაშასადამე, იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ, მოხელეებს, გაგვიფართოვოს უფლება, რომ ჩვენ, მოხელეების, კეთილ ცხოვრებაზე იზრუნოს. „**რევოლიუცია ჩვენთვის, ჩვენი ჯგუფისათვის**“—აი თავი და ბოლო ამ შეხედულების.

10.

ყოველი საზოგადოებრივი ჯგუფი, ყოველი პროფესიონალური ორგანიზაცია რევოლიუციაში იმისთანა რაღაცას ხედავდა, რასაც უნდა „წაგლეჯოთ“ რამე, ყველას უნდოდა თავისებურათ და თავის სასარგებლოთ გამოეყენა რევოლიუცია. საერთო საქმეზე ფიქრი სერიოზულათ არავის აწუხებდა. საერთო საქმისათვის **მსხვერპლის შეწირვა,** მომავლისათვის თავის გაცხელება—ყველა ამაზე დაშორებული იყო ჩვენი ფართო საზოგადოება. რომ რევოლიუცია თავის მადის ალაგმას, მსხვერპლს, გმირობას, ტანჯვას მოითხოვს,—ეს ძალიან ნაკლებ მოსდიოდა ვისმე ფიქრათ. რევოლიუციისგან ყველა ელოდა სარგებლობას, მოგებას, რევოლიუცია წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც პირადი ან ჯგუფური ინტერესების დაკმაყოფილება.

ამიტომ ვამბობთ, რომ ჩვენს რევოლიუციაში სრულიად გამოაშკარავდა მეშჩანური, წვრილ-მესაკუთრული, მეწვრიმალური სახე ჩვენი ფართო საზოგადოებისა. ამ წვრილი მესაკუთრული განწყობილების მაჩვენებელია ის თავდაუჭერელი **ანარხია,** რომელიც საშინელ სენათ მოედო ჩვენს საზოგადოებას. დამტკიცებულია, რომ ანარხიზმი წმინდა წვრილ მესაკუთრული, მეშჩანური მოძღვრებაა, და მაშასადამე ანარხია უნდა იყოს ამავე კლასის პრაქტიკა. ანარხია, რომელიც საშინელ ნიაღვარივით ედება მთელს საზოგადოებას და ლამის არის დაასამაროს ეს საზოგადოებაც, სახელმწიფოს ეს სწორეთ იმის გამოხატულებაა, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი შესდგება იმისთანა ელემენტებისაგან, რომლებიც თავის ცხვირს იქით ვერაფერს ხედავენ, პირადულ ანგარიშზე

მუშას და ქონდა მანქანები, რომელთ ორთქლის ძალა 1,457 ათასი იყო.

რას ვკარგავთ ახლა?—9,200 სამრეწველო დაწესებულებას, რომელნიც აკეთებდენ 925 მილ. მანეთს, 612 ათას მუშას და მანქანებს, რომელთ ორთქლის ძალა 575 ათასი იყო. პროცენტებში ეს იქნება: ქარხნების—28 პროც. და მამოძრავებელ ძალის—39 პროც.

მაგრამ, როცა ნახშირის და რკინის მრეწველობას გავითვალისწინებთ, ჩვენი დანაკლისი აქ უფრო კატასტროფიულ ხასიათს ღებულობს. დღეს დღეობით უამათოთ მრეწველობის განვითარება შეუძლებელი და წარმოუდგენელია. ომამდე ჩვენ ვამუშავებდით 2,000 მილ. ფუთ ნახშირს და 260 მილ. ფუთ თუჯს. ახლა კი გვრჩება მხოლოდ 500 მილ. ფუთი ნახშირი და 70 მილიონი ფუთი თუჯი. ამ რიგათ, უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში წინ წაწეული მრეწველობა ნიავდება და ილუპება.

შევაერთოთ კიდევ ერთხელ ჩვენი დანაკარგი.

ტერიტორიას 707 ათ. კვად. ვერს—4 პროც.
ხალხი 46 მილ. 26
სახნავ-სათესი 28 მილ. დესეტ.—27
მოსავალის 2,900 მილ. ფუთი—37
რკინის გზების 17,500 ვერსი—26
ქარხნების წარმოება—925 მილ. მ. 33
მექანიკურ მამოძრავებელის 575 ათასი ძალა 39
ნახშირის 15,000 მილ. ფუთი—75
თუჯი 190 მილ. ფუთი—73

ამ საშინელ ციფრების შემდეგ, უნებურათ იბადება საშინელი ფიქრი: შესძლებს რუსეთი ამდენი დაკარგვის გადატანას? შესძლებს ასეთ პირობებში გაუმკლავდეს მსოფლიო იმპერიალიზმს და თავდაპირველათ გერმანიის იმპერიალიზმს?

ცხადია, რომ ჩვენ მოგველის მეტი განსაცდელი და ბრძოლა იმის წინააღმდეგ, რომ ჩინეთსა და ოსმალეთზე უფრო არ დავეცეთ. ექნება თუ არა ამ ბრძოლას სასურველი შედეგი, ეს ჩვენ არ ვიცით, ყოველ შემთხვევაში კი უნდა ვემზადოთ.

უკანასკნელ თვეებში ჩვენ ხშირათ ვხედავთ ქარხნების ნაციონალიზაციის და სოციალიზაციის ცდას, რომელიც უფრო ასუსტებს ისედაც უნუგეშო მდგომარეობაში მყოფ სამეურნეო ორგანიზმს. ასეთ პირობებში ბრძოლის შედეგი უფრო გამოურკვეველი და უიმედო ხდება; ასეთ მომავალს ჩვენდა სამწუხაროთ, ანგარიში უნდა გაუწიოთ და თვალზე ხელის დაფარება არ შეიძლება“.

მოსკოველი ანარქისტები

30 მარტს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით მოსკოვში იარაღი აჰყარეს ანარქისტებს.

ამის შესახებ პეტ. დეპ. სააგენტო, რომელიც კომისართა საბჭოს განკარგულებაშია, შემდეგს გადმოგვცემს:

კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ მებრძოლი საგანგებო კომისიის ხელმძღვანელობით შეუდგენ 30 მარტს ღამით ანარქისტების იარაღის აყრას.

მოსკოვის გარნიზონს ბრძანება ჰქონდა მიცემული მზათ ყოფილიყო საბრძოლველად.

ყველა ჯავშნიანი ავტომობილების მობილიზაცია მოხდა.

საღამოს 11 საათზე, 29 მარტს, ჯარებს თავი მოუყარეს არბატის მოედნის გარშემო. ამავე დროს ლატიშთა-მსროლელი პოლკის ჯარისკაცები და წითელგვარდიელები ჯავშნიანი ავტომობილებით და ზარბაზნებით დაგზავნილ იქნენ ქალაქის სხვადასხვა უბნებში, სადაც გამაგრებული იყვენ ანარქისტები.

პირველი შეტევა, რასაც მოყვა ტყვიის მფრქვეველების და თოფების სროლა, ნაშვაღამევის 1 საათზე მოხდა. დიდი შეტაკება მოხდა დილის 5 საათზე.

ერთ ალაგას, სადაც გამაგრებულიყვენ ანარქისტები თავის შტაბში, რამდენიმე ზარბაზანი მიაგორეს და 300 წითელ გვარდიელი მიიყვანეს.

საბჭოს მთავრობის წარმომადგენელმა წინადადება მისცა ანარქისტებს იარაღი აეყარათ, რაზედაც უარი მიიღო.

ვაჭართა საკრებულოს ტყვიები დაუშინეს. ანარქისტებმა აქ ყუმბარებით და ტყვიისმფრქვევლებით გასცეს პასუხი.

10 საათზე ანარქისტებმა განაცხადეს, რომ იარაღს ჰყრიან. დაახლოვებით ასეთი სურათი იყო ქალაქის სხვა უბნებში. დაპატიმრებულ ანარქისტებს საგანგებო კომისიის სადგომში გზავნიდენ.

იარაღის აყრა 10 საათამდე გაგრძელდა. სულ დაპატიმრებულ იქნა 500 ანარქისტი, რომელთაც კერძო სახლები ჰქონდათ დაკავებული. მსხვერპლი ცოტაა ორივეს მხრით. ანარქისტებს სერიოზული წინააღმდეგობა არ გაუწევია.

საგანგებო კომისიას ჯერ ცნობები არ გამოუქვეყნებია. ისე კი ცნობილია, რომ იდეურ ანარქისტებს თავი შეაფარეს თეთრ გვარდიელებმა და სისხლის სამართლის დამნაშავეებმა.

საბჭოს ჯარებმა გაანთავისუფლა 26 სახლი, რომელიც ანარქისტებს ჰქონდათ დაკავებული.

ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ იდეურ ანარქისტებს გაანთავისუფლებენ და იარაღსაც დაუბრუნებენ.

ანარქიზმი და ბოლშევიკები

ბოლშევიკების ანარქისტებთან ბრძოლა მოსკოვში, რომელიც ბოლშევიკების სააგენტოს ცნობით კარგათ დამთავრდა, ერთი შეხედვით თითქოს არაფერ ინტერესს არ იწვევს და ყურადღებასაც კი არ მიაქცევს ადამიანი.

შეიარაღებული შეტაკებები დღეს ჩვენ ვერ გაგვაკვირვებს, ჩვენ ისე შევეჩვიეთ ამ შეტაკებებს, ჩვენი ყურები ისე შეეჩვია სროლის ხმას, ჩვენი ძარღვები ხოცვა-ჟლეტის სურათს, რომ მოსკოვის შეტაკება ჩვენთვის ძალადობის და სისხლის ზღვაში წვეთია.

მნიშვნელოვანია არა ის, თუ როგორი იყო ეს შეტაკება, რამდენი კაცი დაიხოცა, არამედ--მნიშვნელოვანია თვით ეს შეტაკება როგორც ფაქტი, მნიშვნელოვანია მისი შინაარსი.

კარგა ხანი ანარქისტები ხელი-ხელ ჩაკიდებული მოქმედებდენ ბოლშევიკებთან ერთად, მის მარცხენა ფრთას შეადგენდენ და უერთდებოდენ ახალ „კომუნისტურ პარტიას“.

ბოლშევიკებს ამის წინააღმდეგი არაფერი ქონდათ, პირიქით, ამას ბუნებრივათ სთვლიდენ.

გაზეთ „პრავდა-ში“ დიდი პატივისცემით მოყავდათ ციტატები ბაკუნინის წიგნებიდან; ბოლშევიკების ოფიციალური ლიდერები სხვადასხვა კითხვების განსამარტებლათ ხშირათ მიმართავდენ ამ მოძალადეებს და მტაცებლებს. ანარქიულ იდეალებს სიმპატიური თვალით უყურებდა საბჭოს მთავრობის პრესა და სმოლნის ბინადრების და დურნოვოს აგარაკის გმირების კეთილ მეზობლური დავა უმთავრესად ეხებოდა არა ანარქიულ პროგრამას, არამედ მის ცხოვრებაში გატარების საშუალებას.

განხეთქილებამ თავი იჩინა მხოლოდ მაშინ, როცა ანარქიზმი მასიურ, სტიქიურ მიმდინარეობათ გადაიქცა და ამით საბჭოს რეჟიმის ძირის გამოთხრა დაიწყო. რამდენათაც ეს მიმდინარეობა იზრდებოდა, იმდენათ მასსა ბოლშევიკების რეცეპტების იმედს ჰკარგავდა, ი დენათ ღრმავდებოდა ამ ორ გუშინდელ მოკავშირეთა შორის „ტაქტიკური განხეთქილება“. გამწვავებული სიტყვიერი შეჯახება, რომელიც მოხდა ზინოვიევსა და ანარქისტების ლიდერ ბლეიხმანს შორის, ბოლშევიკების მატიანეში ახალი ფურცელის პროლოგი იყო, სადაც ბოლშევიკებს დამშვიდებლების როლი უნდა ეთამაშათ და ანარქისტებს დასამშვიდებლების.

რომ შეუგნებელ მასაში დღეს ანარქიზმმა მაგრათ მოიკიდა ფეხი, ეს აუცილებელი მოვლენაა იმ პირობების გამო, რომელშიაც რუსეთი იმყოფება.

რიგრიგობით სცადეს რუსეთში სახელმწიფოებრივობის ყველა ფორმები კოალიციური, ნახევრათ ბურჟუაზიული, ნახევრათ სოციალისტური და ბოლოს „მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა მთავრობა“.

არც ერთმა მათგანმა არ გაამართლა იმედები, ოდნავათაც ვერ შეასუსტა სასურსათო, სამრეწველო და სხვა კრიზისი.

შესაძლებელი იყო ყველაფერი ეფიქრა ადამიანს და მართლაც, ფართე მასა ასე ფიქრობდა, რომ ოქტომბრის რევოლიუცია ბოლოს მოუღებდა კაპიტალისტურ წესწყობილებას, დადგება ახალი ხანა და ქვეყანა თავს დააღწევს სამეურნეო კრიზისსო, მაგრამ აგერ თითქმის ნახევარი წელიწადი გავიდა, რაც საბჭოს მთავრობის პირველი დეკრეტი გამოქვეყნდა. ამ თვალსაჩინო აშკარა ფაქტიდან მასას ის დასკვნა გამოჰყავს, რომ „უკეთუ ამ რადიკალურმა სახელმწიფომაც ვერ გვიშველა, აშკარაა, მეტი არაფერი დაგვრჩენია, რომ ბოლო მოვუღოთ თვით სახელმწიფოსაც“.

უფრო კულტურული და შეგნებული მასა, რომელიც შეჩვეულია სოციალურ მუშაობას, სულ სხვა დასკვნას გამოიყვანდა. ის მოიგონებდა მარქსის უკვდავ სიტყვებს: „მუშათა განთავისუფლება, თვით მუშათა საქმე უნდა იყოს“. და დაინახავდენ, რომ ამ ბოროტების სათავე თვით მათ უმოქმედობაშია და ერთად ერთი ხსნა შეიძლება მხოლოდ მაშინ, უკეთუ მთელი მუშათა კლასი შეუდგება ენერგიულ მუშაობას ნახევრათ დანგრეულ ნაციონალურ მეურნეობის აღსადგენათ.

მაგრამ რუსი პროლეტარი ჯერ იმდენათ ვერ მომწიფებულა, რომ საკუთარი სარგებლობა დასთმოს და საერთო მუშათა საქმისთვის თავი გასწიროს, შემოქმედებითი მუშაობას მუშათა მცირე მოწინავე ნაწილი ეწევა, უმრავლესობა კი ან უმოქმედობას იჩენს, ან თავის თავს ეხმარება საკუთარი საშუალებით. ეს უკანასკნელი ჯგუფი თანდათან იზრდება რამდენათაც მდგომარეობა მწვავდება და ეკონომიური და სოციალური გახრწნა ფართოთ ფეხს იკიდებს.

ანარქიზმი, როგორც მასიური მოძრაობა, აშკარა მაჩვენებელია სახელმწიფოს ძირიან ფესვიანათ დაშლის. ოფიციალური ცნობა აშკარა ტყუილია, როცა ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ანარქისტებს შეუერთდენ კონტრ-რევოლიუციონერები და სისხლის სამართლის დამნაშავენიო.

ეს რომ ასე ყოფილიყო, ბოლშევიკების მთავრობა ასე არ მოექცეოდა მათ და ნებას არ მისცემდა ანარქისტების ჯგუფებს ხელში ჩაეგდოთ 26 სახლი და იქ დაბინავებულიყვენ.

ბოლშევიკების ასეთი უმოქმედობა მთელი თვე გაგრძელდა და მით აიხსნება, რომ ბოლშევიკებს ეშინოდათ ანარქისტების და არ უნდოდათ მათი გაბრაზება.

ეშინოდათ მათი იმიტომ, რომ ანარქისტები ბევრი იყვენ, ანარქისტების ჯგუფს მისდევდა მუშათა დიდი ჯგუფები. გადაჭრილ ზომებს მათ მხოლოდ მაშინ მიმართეს, როცა უკვე დაყოვნება შეუძლებელი იყო.

სახლები ჩამოართვეს, წითელ გვარდიელებმა გაიმარჯვეს. მაგრამ ამ გარეგნულ გამარჯვებას შეეძლო ბოლშევიკთა ძალა უფლების განმტკიცება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ამის შემდეგ მშიერ მასის მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა, მაგრამ არავითარ გაუმჯობესებას ჯერ არ უნდა მოველოდეთ, ამიტომ პოლიტიკური ზომები ვერ გასჭრის და მასაში ვერ ჩაკლავს ანარქისტულ მოძრაობას.

მოსალოდნელია მოსკოვში ხელ ახლა განმეორდეს ეს ამბავი და ვინ იცის ამას რა შედეგი მოჰყვება?

რუსეთის მტაცებელთა ანარქიზმი ბოლშევიკების ღვიძლი შვილია, ეს არის იმ ინდივიდუალისტურ, ანტისაზოგადოებრივ მიმდინარეობის შედეგი, რომელმაც მოგვცა ბრესტ-ლიტოვსკის ზავი, დაგვირგვინა სამოქალაქო ომი და წაართვა რევოლიუციას შემოქმედებითი ძალა.

ბოლშევიზმი შეჩერდა მის მიერ დაჭერილ პოზიციებზე, ხოლო ანარქიზმი კი შორს წავიდა.

და განვითარების ის საფეხური, რომელზედაც მას უნდა რუსეთის ფეხი შეადგმევინოს, ნიშნავს რუსეთის სუსტი პროლეტარიატის შინაგან კიდევ უფრო მეტათ გახრწნას. („ბ“.)

სტ. ვოლკი.

წყევა

მიყვარდა შვების სიმღერა, შემკობა მებრძოლ ძმებისა,
რითმებში ამუსიკება ჩაგრულთა გამარჯვებისა;
მიყვარდა ბრძოლის ჰანგებზე ყივილი იმედიანი,—
სულს რწმენის ალით ანთებდა აღთქმული მხარე მზიანი!
მაგრამ დღეს, როცა სამშობლოს გარს მტერი შემოსევია,
როცა ბრბოს ძმობის ალამი წყვდიადში გაუხვევია;
როცა გოლგოთას შავ მთაზე ადიან მოციქულები,
წამების ჯვარზე სულს ლევენ, ქვეყნისთვის განწირულები,—
სულ სხვაა ჩემი სიმღერა, გულიც სავსეა შხამითა,—
საშვილიშვილო წყევას ვსთხზავ, ვსწერ ძმების სისხლის ნამითა:
— კრულ იყოს ძმათა მთიშველი, ჭირში ზურგს უკან დამცემი,
კრულ იყოს ქვეყნის ურგები, როგორც იუდა გამცემი!
კრულ იყოს, თავისუფლება ვინც მონობაზე გასცვალოს,
ვინც ძმობის წითელ ალამსა გმირულათ არ ენაცვალოს!!

საშვილიშვილო წყევას ვსთხზავ, ვსწერ ძმების სისხლის ნამითა;
დღეს სხვას მე ვერ რას ვიმღერი: გული სავსეა შხამითა!..

ობოლი მუშა.

მაღლა ვერ აუხედიათ და საზოგადოებრივი სახელმწიფო ინტერესები ვერ შეუგნიათ.

11.

ჩვენი რევოლიუციის ზოგიერთმა მოღვაწეებმა ერთნაირი გონებრივი ინერციის და სექტანტურ განწყობილების გამო ჩვენს რევოლიუციაში დაინახეს სოციალისტურ რევოლიუციის დასაწყისი. ნამდვილათ კი მთელს ისტორიაში ძნელათ მოიძებნება ჩვენი რევოლიუციისთანა კარგი მაგალითი იმის საჩვენებლათ, თუ რას ნიშნავს საზოგადოების მოუმზადებლობა იმ საქმისათვის, რომლისაკენაც ეწევიან მას ზოგიერთი სექტანტური ელემენტები. დღეს, რევოლიუციის ერთი წლის შემდეგ ჩვენთვის სრულიად აშკარაა, რომ იმ საზოგადოებისათვის, რომელშიც მკვიდრათ არის გამეფებული მეშჩანური, წვრილ-მესაკუთრული, მეწვრიმალური სული, სოციალისტური იდეალი, სოციალისტური მოქმედება სრულიად გაუგებარი, უცხო ხილი უნდა იყოს.

სოციალისტურ იდეალის შეგნება და მეტადრე განხორციელება შეუძლიან მხოლოდ იმ საზოგადოებას, რომელსაც შეუძლიან რევოლიუციას შეხედოს ისე, როგორც უდიდეს და მასთან ერთათ **სასიხარულო მოვალეობას**, ბედის მიერ დაკისრებულს. სოციალიზმისთვის მომზადებულს კლასს უნდა აჩნდეს უნარი **მსხვერპლის მოტანისა** იმ იდეალისთვის, რომლის განხორციელებაც ისტორიულ მსვლელობას მისთვის მოუნდვია.

სოციალისტებს ხშირათ „მატერიალისტებს“ უწოდებენ და ეს სიტყვა ისე ესმით, ვითომც სოციალისტები „კუჭისტები“ იყვენ, ვითომც მათ არ შეეძლოთ იდეით გატაცება, იდეალისათვის მსხვერპლის მოტანა. „მატერიალიზმის“ ამნაირათ გაგება, რა თქმა უნდა, მის მოწინააღმდეგეთა გონებრივ სიმაღლეს არ ამტკიცებს. პროლეტარულ სოციალიზმს საფუძვლათ მართლაც **ფილოსოფიური** მატერიალიზმი უდევს, რომელიც მართლაც მტრულ განწყობილებაშია **ფილოსოფიურ** იდეალიზმთან. მაგრამ ამავე დროს არც ერთ მსოფლმხედველობასთან არ არის ისე დაშორებული **პრაქტიკული** მატერიალიზმი წუთიერ სარგებლობით ხელმძღვანელობა ისე, როგორც პროლეტარულ სოციალიზმთან. არც ერთს მსოფლმხედველობას არ შეუძლიან იმოდენა **პრაქტიკულ** იდეალიზმის გამოჩენა, როგორც პროლეტარულ სოციალიზმს. არც ერთი მსოფლმხედველობა არ ასწავლის ტანჯვის ატანას, მსხვერპლის შეწირვას, თავის თავის დავიწყებას შორეული იდეალების გულისთვის ისე, როგორც პროლეტარული სოციალიზმი.

მეტსაც ვიტყვით: თუ გინდათ შეიტყოთ, რამდენათ არის მომზადებული სოციალიზმის განხორციელებისათვის ამა თუ იმ ქვეყნის პროლეტარიატი, შეხედეთ, რამდენათ არის მასში განვითარებული ამნაირი პრაქტიკული იდეალიზმი, ე. ი. რამდენათ შეუძლიან მას **სოციალურ** იდეალის გულისთვის ხელი აიღოს პირადულ და ჯგუფურ სარგებლობაზე.

12.

სოციალიზმისათვის მომზადებული საზოგადოება „მთელზე“ ზრუნავს, ამიტომ მიჩვეულია **დისციპლინას, თავდაჭერას**. მეშჩანური, მეწვრიმალური საზოგადოება ვერ ამაღლდება ამნაირ „მთელზე“ ფიქრამდის, ამიტომ ვერ ეგუება დისციპლინას; თავისდაჭერილობა, თავის ინსტინქტების ალაგმა მისთვის უცხო ხილია, ამიტომ მას სჩვევია ანარქიული გამოსვლები, რომლის მიზანია—პირადი ან ჯგუფური სარგებლობის გამოკიდება. ეს თავის თავს პირველ ადგილზე წამოყენება, ეს გადამეტებული „**ინდივიდუალიზმი**“ გარდამავალ ხანის ნიშანია. „ინდივიდუალიზმიო, ამბობს კაუცკი, იმის მაჩვენებელია, რომ იმ საზოგადოებრივმა დამოკიდებულობამ, რომელშიც კაცი ცხოვრობდა და რომელიც მისთვის ბუნებრივი და გასაგები იყო, დაკარგა ძალა. ამ კაცს ეხლა დასჭირდება ახალ გზის პოვნა გარეშე ამ დამოკიდებულებისა. ეს კი მას მხოლოდ მაშინ შეუძლიან, როდესაც შეუერთდება ყველა სხვა ინდივიდებს, რომლებსაც იგივე საჭიროებები და მოთხოვნილებები აქვთ. ამ ახალ ორგანიზაციების ფორმა, რასაკვირველია, გარეშე პირობებზეა დამოკიდებული და ამ ინდივიდების ნებაზე არ არის დამყარებული. მაგრამ ეს ორგანიზაციული ფორმები კაცის ნებაზე არ მოქმედებენ ტრადიციული, გამაგრებულ ორგანიზაციების სიძლიერით. კაცმა ეს ფორმები ჯერ კიდევ უნდა შექმნას სხვა ინდივიდთა დახმარებით. აქედან, წარმოსდგება შეცდომები და განხეთქილებანი, სანამ სხვადასხვა აზრთა ბრძოლიდან არ გამოიჭედებიან ახალი ორგანიზაციები, რომლებიც ყველაზე მეტათ შეეფერებიან ახალ პირობებს“.

ის „საზოგადოებრივი დამოკიდებულება“, რომელმაც „ძალა დაკარგა“, არის ფეოდალური, ბატონ-ყმური დამოკიდებულება. ის „ახალი გზა“; რომელიც უნდა მონახოს რევოლიუციამ, არის გზა კაპიტალიზმისაკენ, კაპიტალისტურ საზოგადოებისკენ.

ამნაირ ეპოქას მარქსი ასე ახასიათებს: „ფეოდალური საზოგადოება დაიყო თავის ძირითად ელემენტებათ პიროვნებებათ, მაგრამ ეს ის პიროვნებებია, რომლითაც ნამდვილი თავისი ჭეშმარიტი ბუნება გამოაშკარავეს—**ეს ეგოისტური პიროვნებებია**“.

ჩვენი საზოგადოება სწორედ იმ გარდამავალ ხანას განიცდის, როდესაც, „საზოგადოებრივი დამოკიდებულება, რომელშიც ინდივიდუუმი აღიზარდა“ ე. ი. ბატონ-ყმური წესები, რომლებიც ასე თუ ისე ქმნიდა საზოგადოებას, სრულიად დაინგრა, მაგრამ „ახალი გზით“ სიარული საზოგადოებას ჯერ ვერ უსწავლია. ძველს, დანგრეულს ინდივიდუუმი ჩამოშორდა, ახალს კი ჯერ ვერ მიჰკედლებია. **იგი დღეს ცხოვრობს ყოველ „საზოგადოებრი დამოკიდებულების“ გარეშე**, იგი თავის თავზეა მინაბრებული. აი რით უნდა ავხსნათ ის, თავაშვებული ანარხიზმი, რომელიც ნიაღვარივით მოედვა მთელს სახელმწიფოს და ლაფის არის იგი ძირს დასცეს.

ღ. ნათაძე.

ბრძანება თფილისის გარნიზონისადმი

რადგან ამიერ-კავკასიის სეიმმა მთელ მხარეში სამხედრო წესები გამოაცხადა ვაცხადებ, რომ ქალაქის დაცვის შტაბს უნდა ექვემდებარებოდეს ყველა სამხედრო და საზოგადოებრივი დაწესებულებები, რომლებიც საზოგადოებრივ მშვიდობიანობის და წესიერების დაცვას ემსახურებიან: მილიცია, ქალაქის, სისხლის სამართლის, სატუსაღოებების, ბანკების და სხვ. რაიონულ კომიტეტების და კერძო მოქალაქეთა მიერ დაქირავებული მცველები უნდა ემორჩილებოდენ ქალაქის მილიციის უფროსს.

ჯარების ნაწილების უფროსმა, რომელიც საგარნიზონო, სადარაჯო სამსახურს ეწევა, მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ თავიანთ ხელქვეითებს წესიერათ შეასრულონ თავიანთი მოვალეობა. ჯარების ყარაულების უფროსი ვალდებულია მოსთხოვოს მოდარაჯე ჯარისკაცებს შეასრულოს თავიანთი მოვალეობა და ყოველ იმ შემთხვევების დროს, როცა ისინი წესიერათ არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას შეატყობინონ უფროსს დამნაშავეების პასუხისგებაში მისაცემათ.

ვუბრძანებ მილიციის უფროსს იყოლიოს მილიციონერთა სანიტარული რაზმი, რომ საჭიროების დროს შესაძლებელი იქნეს მათი გამოწვევა.

ვადასტურებ თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებას მიტინგების, ქუჩებზე და მოედნებზე თავის მოყრის აკრძალვის შესახებ.

ასეთ საბედისწერო დროს ყველა მოქალაქე გამსჭვალული უნდა იყოს სამშობლოსა და რევოლიუციის წინაშე მოვალეობის შეგნებით. ყველა ეს მოვალეობა ყველამ სინდისიერათ უნდა შეასრულოს. შიგნით რევოლიუციონურ წესრიგის დაცვა იმედს მისცემს ჩვენზე მოსულ მტრის წინააღმდეგ მდგომ ჩვენ ჯარს.

ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს კანონის ძალით სასტიკათ დაისჯება.

ქ. თფილისის გარნიზონის უფროსი **ვერეშჩაკი.**

სახალხო უნივერსიტეტი

შაბათს, 7 აპრილს ქალაქში ყულაბებით ფულებს მოაგროვებენ სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოთ.

სახალხო უნივერსიტეტის მსმენელთა საორგანიზაციო კომიტეტი მიმართავს ყველა ამხანაგებს, უმაღლეს სასწავლებლების და აგრეთვე საშუალო სასწავლებლის უფროს კლასების მოსწავლეებ დაეხმარონ და ფულის მოგროვების საქმე იკისრონ.

დღეს უკანასკნელი დღეა ჩაწერის. ვისაც დახმარება სურს ვსთხოვთ ჩაეწერონ სახალხო უნივერსიტეტში (მიხეილის პროსპ. № 91) დილის 11—2 საათამდე და საღამოს 6—10 საათამდე.

ყველას, ვინც ჩაწერილია, სთხოვენ შეიკრიბონ დღეს 5 საათზე სახალხო უნივერსიტეტში საქმის გასანაწილებლათ და გეგმის შესამუშავებლათ.

საად.-მამულო რეფორმა

2 აპრილს თელავში შესდგა კომისია, რომელმაც უნდა ჩაიბაროს თელავის მაზრის მსხვილ მემამულეთა მიწები, 7 მარტის კანონის თანახმათ, კომისიის თავმჯდომარეთ საგუბერნიო საადგილმამულო გამგეობისაგან დანიშნულია ნოე ეგნატეს ძე ლეჟავა, წევრებათ: თელავის საადგილმამულო გამგეობის თავმჯდომარე კოტე სეხნიაშვილი და მაზრის კომისარის წარმომადგენელი. კომისიამ მოისმინა მოხსენებები საგლეხო ცენტრის გაგზავნილ რწმუნებულებისა და დაადგინა: შეუდგეს მუშაობას 7 აპრილს. პირველ რიგში მიღებულ იქნება თავადი ჭავჭავაძეების მამულები სოფ. ურიათუბანში. საჭირო უწყებები იმ წამსვე დაგზავნილ იქმნა მაზრის კომისარიატის საშუალებით.

თ. მ.

თელავი. საგლეხო ცენტრის მიერ დანიშნულმა რწმუნებულმა თელავის მაზრაში თელავში კერძო თათბირის შემდეგ შეადგინეს ორი ჯგუფი და გაინაწილეს სამუშევარი, მთელი თელავის მაზრა გაყვეს ორ ნაწილად. თელავიდან აღმოსავლეთ მხარეს გაღმა და გამოღმა მდინარე ალაზნისა გაემგზავრენ სამუშევრათ რწმუნებულები ანდრო რამიშვილი და კალენიკე ჯამბერიძე. დასავლეთ მხარეს თელავიდან გაღმა და გამოღმა მდინარე ალაზნისა, გაემგზავრენ: ნოე ეგნატეს ძე ლეჟავა, გიორგი თედორაშვილი და ლადო თურქესტ ნოვი.

დასავლეთ მხარეს რწმუნებულებმა შემოიარეს შემდეგი სოფლები:

ვარდის უბანი, რუის პირი, იყალთო, აწყური, ზემოხედაშენი, ქისტაური, ოჯიო, კოლოთო, ხორხელი, ალავერდი, აბატელი, ყარაჯალა, ნაფარეული, ლაფანყური, სანიორე, ნიკოლაევკა, ართანა, პშაველი, ლალის ყური, ლეჩური, მაღრაანი, არგოხი, პიხოვანი, [illegible]რი, ზემო და ქვე ალვანი.

ამ სოფლებში ხდებოდა მრავალ-რიცხოვანი კრებები ადგილობრივი კომისრის თან დასწრებით, ირჩევდენ თავმჯდომარეებს, რის შემდეგარ რწმუნებულები აკეთებდენ მოხსენებებს და განმარტებებს მიწის რეფორმის ცხოვრებაში გატარების და მისი მნიშვნელობის შესახებ, ომის, ზავის, ჯარში გაწვეულთა და მოხალისეთა შესახებ.

რწმუნებულებმა აგრეთვე მოხსენებები გააკეთეს შინაური არევ-დარევის და წითელი გვარდიის შედგენისა.

გადასახადების ხაზინაში შეტანის შესახებ და სხ.

ყველა მოხსენებებს დამსწრენი ყურადღებით ისმენდენ და აღფრთოვანებით ეგებებოდენ. გამოქონდათ დადგენილებანი, რომელშიაც უსურვებდენ სეიმში მყოფ მშრომელ ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატებს დაუღალავ ენერგიას და აღუთქვამდენ სეიმთან ერთად უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ, რათა სეიმის ყოველი დადგენილება ცხოვრებაში გატარებულ იქნას და არსებული დაუფასებელი თავისუფლება უზრუნველყოფილი იყოსო.

ნ. ე. ლ.

კახეთის რკინის გზაზე

კახეთის რკინის გზის მოსამსახურეთა და მუშათა ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა შემდეგი დეპეშა გაგზავნა მთელ გზაზე, ქართულ ეროვნულ საბჭოს და თფილისის აღმასრულებელ კომიტეტის სახელზე.

„ქართული ეროვნული საბჭო მთელათ სამშობლოს მტრის თავდასხმისაგან დაცვის საქმეს და რევოლიუციონურ წესრიგის შენახვას უნდება.

მიუხედავათ ამისა, ეროვნული საბჭო, ცენტრალური კომიტეტი და რკინის გზის მართველობა ყოველ ღონეს ხმარობენ დააკმაყოფილონ მოსამსახურეთა და მუშათა სამართლიანი მოთხოვნები, მიაწოდონ მათ პური და რაც შეიძლება ჩქარა მისცენ ჯამაგირები. დაბეჯითებით გთხოვთ ასეთ დროს, როცა სამშობლოს და თავისუფლების ბედი სწყდება, მხარი დაუჭირეთ მთავრობას და ნუ შეიტანთ არევ-დარევას ქვეყნის დაცვის საქმეში.

იმათ, რომელთაც ამ პირობებში არ შეუძლიათ მუშაობა და რევოლიუციის დახმარება, ნება აქვთ სხვა სამუშაოზე გადავიდენ, დანარჩენები კი თავთავიანთ ადგილებზე დარჩებიან. რადგან გზა მეტათ ცუდ ფინანსიურ მდგომარეობაშია, მუშებს უფლება არა აქვთ გაფიცვის დროის ფულები მოითხოვონ და მათ ამას არ მისცემენ.

ყველას ვსთხოვთ შეასრულონ თავიანთი მოქალაქობრივი მოვალეობა სამშობლოსა და რევოლიუციის წინაშე და ხვალიდანვე დაიწყონ მუშაობა. კომიტეტები და უფროსები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ წარმოადგინონ იმათი სია, რომლებიც ამ დეპეშას არ შეასრულებენ, რომ დათხოვნილ იქნან სამსახურიდან.

კახეთის რკინის გზის მოსამსახურეთა და მუშათა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

წერილი ჭიათურიდან

ცხინვალის ტრაგედია ელვის სისწრაფით მოედვა ჩვენ მხარს და მოწინავე ელემენტები ფეხზე დააყენა.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან შორაპნის მაზრა მოსაზღვრეა ოსეთისა და ამავე დროს ნაწილი ზოგი ოსეთის სოფლებისა, თვით შორაპნის მაზრის ტერიტორიაში შედის. ცხინვალის ტრაგედიის შემდეგ ჭიათურას ტელეგრამით აცნობეს 250—300 კაცის გაგზავნა ოსეთის მხარეზე, მაგრამ მსურველთა რიცხვმა გადააჭარბა და თუ ათასობით პირველ ხანათ არ დარჩა წასული, ეს იმიტომ, რომ ცხინვალიდან გაძევებულ გზა-აბნეულ კონტრ-რევოლიუციონერებს, ვერ დაურჩათ საძარცვავათ შედგენილი გეგმა დროსთან შეფარდებული. ვერც თუ პროვოკატორთა სურვილები განხორციელდა და ამიტომ, როგორც შემდეგ გამოირკვა, იმათ მიმალვა არჩიეს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კონტრ-რევოლიუციონერთა წინააღმდეგ ირაზმებიან ამ ხანათ თვით ის ელემენტები, რომლებიც ამ ამბების წინათ, თვით ხარობდენ ასეთი გამოსვლებით; ხელს უწყობდენ ან ნეიტრალურ მდგომარეობაში ამჯობინებდენ დარჩენას. ესენი არიან ის ჯარისკაცნი, რომელნიც პოზიციიდან დაბრუნებულნი 25 ოქტომბრის შემდეგ მოძრაობას აღმაცერათ უყურებდენ და ოსმალთა, თუ სხვათა გაფართოებული მადა ჩვენი ქვეყნის გადასაყლაპავათ აშლილ-მომზადებული, მხოლოდ ჭორები ეგონათ.

წავიდა, თუ არა წითელი გვარდია, სოფელში ჩოჩქოლი შეიქნა; ვერ შესძლეს ბრძოლის ველიდან დაბრუნებულმა ვაჟკაცებმა სიჩუმით შეხვედროდენ კარზე მომდგარ საერთო უბედურებას და იმათაც იწყეს გამოხმაურება.

24 მარტს ჯარისკაცთა მოხდილი

რაზმი გავიდა ქიათურიდან ოსეთისაკენ; მათი გულ-ღია სიტყვა იყო: „ჩვენ აქამდი გამოურკვეველი ვიყავით; გვეუბნებოდენ: ჩვენი მთავრობა და გვარდია, მხოლოდ კონტრ რევოლიუციონერების და ბურჟუაზიის დამცველია, მაგრამ ახლა თანდათან ვდგებით გარკვეულ გზაზე და ვეცდებით დავიცვათ რევოლიუცია და თავისუფლებაო“.

სასიხარულო სურვილია; ქიათურის საზოგადოებამ აღფრთოვანებულმა გააცილა ისინი.

ხმები იყო ასეთი ჯარისკაცებისაგან შემდგარი რაზმები ბევრია მზათ, და თუ საჭიროებამ მოითხოვა, ელვის სისწრაფით გზას გაუდგებიანო.

ჩვენ ვგრძნობთ ამ ძალის სიდიადეს და საჭიროებასაც და უსურვებთ ჯარისკაცებს გამორკვევას და შეგნებას თავისუფლებისა და რევოლიუციის დასაცავათ.

ქიათურის და საჩხერე-შორაპნის ყვირილის გვარდიამ მშვიდობიანათ მოიარა ოსეთის ჩვენი მხრის ნაწილი და 27 მარტს უხიფათოთაც დაბრუნდა უკან, თუმცა ამ ექსპედიციის ოსეთში მოგზაურობას არავითარი ექსცესები არ შეხვედრია, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ სარგებლობა კი მოგვიტანა, როგორც ჩვენ, ისე ოსებსაც: აქაც ისე, როგორც ცხინვალის მხარეში, პროვოკაციას ფესვები გაუდგამს; არწმუნებდენ, თურმე ოსებს: თავად-აზნაურობა—ბურჟუაზია და წითელი გვარდიელები ერთად დარაზმენ თქვენს გასანადგურებლათ და, აბა, თავს უშველეთო. საცოდავებს ცოლშვილნი და უძლურნი უკვე გაეხიზნათ და შემძლენი კი სამრათ მომზადებულიყვნენ, მაგრამ ყველაფერი დროზე გამოირკვა. გადმოღმა ოსობამ ტირილიც კი დაიწყო: ჩვენ ორმოებში ვცხოვრობთ; ჩვენი ლუკმის მომცემი ქალაქი საჩხერე-ქიათურა და ქუთაისია და, აბა, ჩვენ როგორ მოვიფიქრებდით იმათ შევიწროებასო. ჩვენი ახალგაზრდობა ცხინვალისკენ არ ყოფილა, ხოლო თუ ისინი აქეთ იზამენ პირს, ჩვენ წინ გაგვიძღვებით და ნახავთ მოვეხმარებით თუ შევებრძოლებითო. იარაღის აყრაზე ოსობამ ასეთი პასუხი მოგვცა: ეცადეთ აყაროთ იარაღი აჯანყებულთ და თქვენ სოფლებსაც, რაც ძალით აქეთ მითვისებული, ხოლო ჩვენ მარტო ნუ ჩაგვყრით ორ კლდეს შუა და მათთან ჩვენც ავიყრითო. ამით გაშორდა ოსეთს ჩვენი რაზმები და დელეგაცია, რადგანაც აქ საფრთხე ისე არაა მოსალოდნელი, როგორც სხვა მხრივ.

რაზმს დ თავდაცვისათვის მებრძოლ დემოკრატიას საფრთხე ბათუმისკენ უმზადდება; იქ უგებენ მახეს კავკასიის რევოლიუციონურ ხალხსა და მთავრობას.

28 მარტს მოწვეული იყო მრავალრიცხვანი მიტინგი. აქ გააცნეს ხალხს ბათუმის მდგომარეობა, რისთვისაც მოუწოდეს ვაჟკაცებს. ამ დღესვე გავიდა რამდენიმე ვაგონი მებრძოლთა. მართალია, ასე ნაუცბათევათ არ მოხერხდა დიდი ძალის გაგზავნა, მაგრამ ხალხი ფეხზე დგას რევოლიუციის და თავისუფლების დასაცვათ, ის ცდას არ დააკლებს.

ალი—ხანი.

მთიულეთის საკითხის გამო

(გაკვრით).

გასულ წელს მთელი ზაფხული და შემოდგომის პირველი ნახევარი პირაქეთი მთიულეთში ძლიერი ძარცვა-გლეჯა, თავდასხმა, მკვლელობა იყო

მთებში მობინადრე ტომთა შორის ურთიერთ შორის დამოკიდებულება გამწვავდა, რომელმაც ბოლო ხანებში მასიური ხასიათი მიიღო, რამაც გამოიწვია რამოდენიმე სოფლების აწიოკება.

1917 წლის ნოემბრიდან, რადგანაც ხეობები და გზები შეიკრა თფილისაგან ერთგვარი მშვიდობიანობა ჩამოვარდა ზაქათალის, თუშეთის, ხევსურეთის, ფშაველის მხარეებში და ეს სიწყნარე დღემდე ასე თუ ისე გრძელდება.

ზამთარმა აღნიშნულ ადგილებში ნორმალურათ გაიარა, გარდა დარიალის ხეობების მიმართულებისა. მთებში დასახლებულ ტომთა ეკონომიური მდგომარეობა და მათი პირველყოფილი ცხოვრების პირობები მუდმივ ქმნის ღელვარებას, შფოთს, რომელიც შემდეგ ნაციონალურ-სარწმუნოებრივ ნიადაგზე გადააქვთ და შუღლი-მტრობაც ფართოვდება.

გასულ წელს დასახელებულ მთებში ხშირათ მიდიოდენ ჩვენი ამხანაგები, რომ მთის ხალხთა შორის მტკიცე კავშირი შეეკრათ და ხელი შეეწყოთ ნორმალურ მოძრაობის აღორძინებისათვის, რამაც პირველ ხანებში სასურველი ნაყოფი გამოიღო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ბნელი ძალების „მოღვაწეობამ“ თავისი გაიტანა და მთელი მოძრაობა დამთავრდა სახანოს უბედურ ამბებით, სადაც მოჰკლეს რამოდენიმე ამხანაგები და წითელი დროშაც დაფლითეს.

ცხადია, დიდი ნაწილი ლეკებისა, დიდოელებისა, ქისტებისა, ჩეჩნებისა და სხვადასხვა მისდევენ ყაჩაღობას და მათი შეჩერება განსაკუთრებით მიმდინარე მომენტში, მხოლოდ ძალის საქმეა.

გასულ წელს ჩვენი მოგზაურობის დროს ბევრი სამწუხარო ფაქტები იყრიდა თავს და ჩვენთვის გარკვეული იყო, რომ მდგომარეობის გამწვავებაში მთებში მუშაობდენ გამოცდილი რეაქციონერები და მათ შორის იყვენ ჩვენი მხრიდანაც გაქცეულები.

მაშინ საერთო მდგომარეობა სულ სხვაგვარი იყო და მთის ტომები შედარებით ერთგვარ გავლენის ქვეშ იმყოფებოდენ.

დღეს გამოიცვალა საერთო ძალთაგანწყობილება და ჩრდილოეთ კავკასიის ამბებმა თანდათან აუშვა საქმეები, დაირღვია ურთიერთ შორის დამოკიდებულება და ახლოვდება მეტათ მძიმე, ბუნდოვანი და არაჩვეულებრივი მომენტი.

მთის ხალხთა შორის ამ ბოლო ხანებში შიში იზრდება და ამას აქვს თავისი ძირითადი მიზეზები. მაგ., თუშები, ფშაველები შრომის მოყვარე ხალხია, მისდევენ მეჯოგეობას და მათთვის საჭირო მყუდრო ცხოვრება, მხოლოდ მათი ამგვარი მიზანი მუდამ მიუღწეველია და ისინიც არა ნორმალურ პირობებში იმყოფებიან, რადგანაც ირგვლივ ახვევია ველურ ყაჩაღთა ბრბოები.

მთიულეთის წარსული ისტორია ნათლათ გვიმტკიცებს, რომ მთელი გასული საუკუნის პირველი ნახევარი იყო ნაციონალური ომების, შფოთის, განადგურების და უბედურების ხანად.

მთებში რუსეთის გაბატონების შემდეგ შედარებით უკეთესი ცხოვრება იწყება, ერთგვარი წონა-სწორობა ვარდება მაგრამ ძარცვა გლეჯა მაინც ხდებოდა და მან მუდმივი ხასიათი მიიღო.

ამ ჟამათ განსაკუთრებულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი თუშ-ფშავ-ხევსურები, თელავის და სიღნაღის ნაწილები, აგრეთვე გუდა-მაყრელები, მოხევეები.

აღნიშნული ხალხი წინასწარ გრძნობს, იმას, რაც შესაძლებელია მოხდეს ახლო მომავალში, და მათი ამოძრავება თავდაცვისათვის ბუნებრივია.

მთელი მთიულეთის მხარე გარს შემორტყმულია ისეთ ხალხით, რომლის მიზანია თავისი გავლენის გაბატონება და ამ მხრით მზადებაშია. უკანასკნელი ცნობები აშკარათ მოწმობს იმას, რომ მოხდება ის, რასაც წინდაწინ ვგრძნობთ. გასულ წელს, როდესაც მთებში ყაჩაღობა დაიწყო, მოხდა თათბირები, მოლაპარაკება, მაგრამ ყველამ უქმათ ჩაიარა. დღეს საჭიროა სასწრაფო ზომები, საჭიროა მთიულეთის საკითხი ფართედ დაისვას, მას სერიოზული ყურადღება მიაქციოს ამიერ-კავკასიის მთავრობამ.

თელავიდან ცნობები მოდის ლეკების მოძრაობის შესახებ. თიანეთიდან, ხევსურეთიდან და სხვა კუთხეებიდან იარაღს მოითხოვენ. არც დარიალის ხეობაშია საქმე კარგათ. 1917 წელს, გაზაფხულის ბოლო რიცხვებში გაიმართა მთის თემთა წარმომადგენლების თანადაწრებით თიანეთში საგანგებო კრება, რომელმაც შეიმუშავა საჭირო ზომები და მიიღო შესაფერი დადგენილებები, მაგრამ სამწუხაროთ, ვერ განხორციელდა და ამან ერთგვარი უკმაყოფილებაც გამოიწვია. ის დადგენილება, რომელიც მიღებულ იქნა, განსახორციელებლად ეცნო ამიერ-კავკასიის ცენტრებს, იქ ნათქვამი იყო: „მთებში შექმნილი მდგომარეობა დაჩქარებით მოითხოვს მთის ტომთა საჩქარო შეიარაღებას, საგანგებო თავდაცვის რაზმების შედგენას და აგრეთვე დაუყოვნებლივ უნდა იქნას მოქმედება გადატანილი ჩეჩნებში, ლეკებში, ქისტებში და სხვა მოსაზღვრეებში შეთანხმების შესახებ, რომ დამყარდეს ხელსაყრელი შეკრულება გართულებულ პირობების მოსაწესრიგებლად“...

ეს მთავარი დებულება მაშინ შეუსრულებელი დარჩა, მხოლოდ დღეს დაყოვნება შეუძლებელია, რადგანაც, თუ დროზე არ იქნა მიღებული ზომები, ჩვენ ფაქტიურათ კვლავ გავხდებით მოწამე წარსული ისტორიული ამბების და მთებში მუდმივ ომები იქნება გაჩაღებული.. ამგვარათ მახლობელ მთიულეთის საკითხი ცხოვრებამ წამოაყენა და მისი გადაჭრა საჩქაროდ უნდა მოხდეს.

ანანია.

მოსავლის პირი კახეთში

„იზარდე მწვანე ჯეჯილო, დაპურდი
გახდი ყანაო,
იკურთხოს მისი მარჯვენა ვინც გთესა,
მოგიყვანაო“

თუ დღემდე ხიბლავდა თქვენს სულსა და გულს კახეთის სპეტაკი ბუნება და ალაზნის მდელოს თვალწარმტაცი სილამაზე და გაყვარებდათ მთელ კუთხეს, მით უმეტესათ, დღეს ერთი ათათ და ასათ გიორკეცდებათ ამ დიდებული კუთხის სიყვარული.

ეს იმიტომ, რომ რამდენადაც განსაცდელშია შენი საყვარელი ქვეყანა მტრის შემოსევისაგან, იმდენათ იზრდება თქვენს გულში უზომოთ მისი სიყვარული.

დაჰყურებთ გომბორის მთიდან ამ ათას ფერათ აყვავებულ მორთულ-მოკაზმულ ნაზი პატარძალივით ლამაზ მხარეს, რომელიც შემოგძახის: „აბა, თუ ვაჟკაცი ხარ, დამიცავი მტრის ბუჭყიან ხელისაგან“.

გაჰყურებთ თვალუწვდენელ მინდვრებს, რომელიც მწვანე ხავერდივით არის გაშლილი მობიბინე ჯეჯილით, რაც იმედებით გივსებს გულს.

არავის ახსოვს, რომ როდისმე იმდენი ნახნავი ყოფილიყოს კახეთში, რამდენიც წელს არის.

შიმშილისაგან შეშინებულმა ხალხმა გაიტანა თავისი უკანასკნელი ოჯახის საზრდო და მიწას მიაბარა იმ იმედით, რომ უარეს უბედურებაში არ ჩავარდეს.

ერთ მტკაველ მიწას ვერ ნახავთ მოუხნავს და დაუთესავს. გლეხს იმედი უმრთლდება და მოსავალს საუკეთესო პირი უჩანს და თუ ვერაგი მტრის შემოსევისაგან გადარჩა ჩვენი ქვეყანა, კახეთიც უზრუნველყოფილი იქნება პურის მხრივ.

სოსო.

სოც.-დემ. პარტიაში

რკინის გზის სამართველოში. 3 აპრილს დანიშნული იყო ამ სამართველოში მოსამსახურე პარტიული წევრების კრება. კრებას განსახილველი ქონდა თანამედროვე მომენტის შესახებ საკითხი. მიუხედავათ იმისა, რომ ეს საკითხი დღეს ფრიად მნიშვნელოვანია, ზოგიერთი პარტიის წევრები სიზანტეს იჩენენ.

იმ დროს, როცა მშრომელი ხალხის ბედი სასწორზეა დადებული, მაშინ რკ. გზის სამართველოს ზოგიერთი მოსამსახურე, პარტიის წევრი გულ ცივობას იჩენს. სამწუხაროა ისიც, რომ პარტიის ზოგიერთი წევრი პარტიულ გაზეთსაც არ კითხულობს.

რადგანაც კრებას ძლიერ ცოტა რიცხვი დაესწრო, ამიტომ მცირე თათბირის შემდეგ დაადგინა: დანიშნოს კრება პარასკევს, 6 აპრილს, საღამოს 6 საათზე.

საქარელი მ.

პროვინცია

ს. მარტყოფი (გარედ კახეთი). ს. მარტყოფი ქალაქ თფილისიდან 20 ვერსზეა დაშორებული,—მცხოვრებთა რიცხვი 12 ათასს აღემატება, დიდი მემამულე აქ არ ცხოვრობს. საზოგადოთ მცხოვრებთა უმეტესობა საშუალო შეძლებისაა. მიწები უმთავრესათ სახაზინოა,—წელს პურს კარგი პირი უჩანს. აქ დაარსებულია სამკითხველო, მაგრამ მუდამ დაკეტილია. ექიმი ხომ აქ უცხო ხილია, სამაგიეროდ მკითხავებს ხშირად შეხვდებით და თაყვანის მცემლებიც ყავთ. სამწუხარო უფრო ისაა, რომ სოფელი ძლიერ წააგავს თუ ქალაქს არა დაბას მაინც, მაგრამ არც ფოშტა აქვს და არც ტელეგრაფი. სადგური ვაზიანი ახლავს 10 ვერსზე, მაგრამ მიმოსვლა უხერხულია უგზოობის გამო, რაც შეეხება ეტლს ან ცხენს წასაყვანად აქ ვერ ნახავთ. აქაურობას ცოტათი ამშვენებს: „კოოპერატივი“ და საგლეხო ბანკი, რომლებიც ამსუბუქებს სურსათის საკითხს,—მეზობლური თავაზიანობა დიდია მხოლოდ ამ დღეებში ქონდა ალაგი არა სასურველ მოვლენას. საქმე ასე იყო: მარტყოფელი ახალგაზრდა სოლო ჯაღათაშვილი, რომელიც წინათ ქალაქში ქირაზე ყოფილა, მეზობელ სოფელ ნორიოში ვიღაც ბოროტებს ვერაგულად მოეკლათ,—რაც საკმარისი გამხდარა შეიარაღებულიყვნენ 200 კაცზე მეტი ნორიოელების წინააღმდეგ. ის იყო ძმათა შორის სისხლის ღვრა დაიწყებოდა, რომ გამოჩნდენ ამხანაგები, რომელთაც შესძლეს მშვიდობიანად საქმის მოგვარება მკვლელები აღმოჩენილია. გამოძიება სწარმოებს. იმედია ალაგი აღარ ექნება მგზავსს მოვლენებს.

აქ ამ დღეებში მოვიდა ამხანაგი დ. ი. ლორთქიფანიძე „ცენტრისა“ და ახალი ჩვენი მთავრობის დავალებით, რომელმაც მცხოვრებთ გააცნო ახალი საადგილ მამულო კანონი. მცხოვრებნი ფრიად კმაყოფილნი დარჩნენ. მომხსენებელი შეეხო მოსალოდნელ საფრთხეს და მოუწოდა მცხოვრებთ მოპოვებული თავისუფლების შესანარჩუნებლად. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. გარსო სინჯიკაშვილი. კრებამ უპირველეს ყოვლისა პატივი სცა თავისუფლებისათვის დაღუპულთა ხსოვნას. ბოლოს დაადგინა: 1) ზიზღი ბალშევიკების სახით მოვლენილ კონტრ რევოლიუციონერებს, რომლებმაც დააქუცმაცეს რუსეთი, დააყენეს ძმათა სისხლის ღვარი, თავიანთი ბილწი ხელით გარეკეს დამფუძნებელი, მთელი რუსეთის კრება და სულთანს ჩააბარეს ბათუმ-ყარს არტაანი, რამაც საფრთხეში ჩააგდო მთელი რუსეთის თავისუფლება განსაკუთრებით კი ამიერ-კავკასია!.. 2) სრული ნდობა ახალ მთავრობას, რომელმაც გონივრული ნაბიჯი გადადგა, როგორც ზავის საკითხში, ისე საად. მამულო რეფორმებშიაც, რომელიც ნაკარნახევია ს. დ. მ. პარტიის პროგრამა—მინიმუმიდან. 3) არ ჩამოვრჩეთ ჩვენ მოძმე გურულებს და სალამს ვუძღვნით რევოლიუციის ავანგარდთ. 4) მობილიზაცია სწორედ იქნას გატარებული და ვინც დაარღვევს წესს, ჩაითვალოს თავისუფლების მტრად. 5) შედგეს მოხალისეთა ლაშქარი, რომელიც დარაჯათ ედგომება შინ და გარედ რევოლიუციას. 6) სალამი მ. ჯ. და გლეხთა ცენტრს. ამ რევოლიუციის სახალხო დარაჯს. ბოლოს კრებამ განიხილა მრავალი სასოფლო საკითხები, სხვათა შორის 4 მღვდელი 2-ზე დააყენეს. დაუდეს სამსახურის „ტაქსა“: ვინც ისურვებს, ის მისცემს შრომის ფასს.

მუშა შოველი.

სოფ. ხვანჭკარა. *) 27 თებერვალს მოხდა ხვანჭკარის ქალაზე დიდი მიტინგი, მიტინგი მოწვეული იყო რუსეთის რევოლიუციის სადღესასწაულოთ. მიტინგს დაესწრო ბუგეულის, ხვანჭკარის, პატარა ონის, და ქვეირის საზოგადოება, ხალხი აღტაცებით შეხვდა ამ სადღესასწაულო დღეს, დროშებით და მარსელიოზის სიმღერით საზოგადოებები ერთმანეთს შეუერთდა, დანიშნულ ადგილას მოზღვავებულ ხალხის შუა გულში დადგეს ტრიბუნა, საიდანაც უნდა ელაპარაკნა ორატორებს, მაგრამ უცბათ ჯოჯოხეთური სურათი გადაგვეშალა თვალწინ, ამბავი მოგვიტანეს, რომ ამხ. ლევან დადეშქელიანი მოუკლავთო, ამ ამბავმა ამხანაგებზე გულსაკლავი შთაბეჭდილება მოახდინა, ამას მოჰყვა მეორე განსაცვიფრებელი სურათი, უცბათ 20 მდე შეიარაღებულმა ჯარისკაცებმა ხალხს ალყა შემოარტყეს, უბრძანეს ფეხი არავის მოეცვალა, ვერავინ მიხვდა რაში იყო საქმე, ჯარისკაცები გააფთრებული მისცვივდენ ამხ. რუბენ ყიფიანს, კაკო ღოღელიანს, აკაკი გოცირიძეს და ბალშევიკს, ბაჟ. კუპრაშვილს, იარაღი აჰყარეს მათ და დააპატიმრეს. ხალხი აღელვა ამ გარემოებამ და მისევას აპირებდენ ჯარისკაცებზე, მაგრამ მოწინავე ამხანაგებმა შეაჩერეს ხალხი. დაპატიმრებული ამხანაგები ჯარისკაცებმა ხვანჭკარის სამმართველოს შენობაში მოათავსეს, ხალხი დაწყნარდა. თავმჯდომარეთ ირჩევს ამხ. ვ. ტყეშელაშვილს, თავმჯდომარე კითხულობს ვის სურს ილაპარაკოსო, ყველას ენა ჩაუვარდა ბოღმისაგან, სიტყვის თქმას ველარავინ ახერხებს, ჯარისკაცები გააფთრებული დარბიან ვიღაცას დასაჭერათ, დაინახეს ქუთაისიდან მომავალი წითელ გვარდიელი გოცირიძე, დააპატიმრეს და იარაღი აჰყარეს, წართვეს და გაუშვეს, ხალხი შიშისაგან აირ-დაირია და ბევრმა თავს უშველა, მიუხედავათ ასეთი გარემოებისა, წარმოითქვა სიტყვები: ბუგეულის საზოგადოების სახელით ლაპარაკობს ამხ. ლ. პატარიძე, პატარა ონის საზოგადოების სახელით—ამხ. ვ. მღვდელაძე, ხვანჭკარის საზოგადოებიდან—ამხ. ვ. ტყეშელაშვილი, ქვეშის საზოგადოების სახელით—ამხ. კაკო ღოღელიანი.

ამხ. ლ. პატარიძეს წინადადება შემოაქვს, რომ დაპატიმრებული ამხანაგების საქმის გამოსაძიებლათ კომისია ავირჩიოთო. მიტინგმა ერთხმათ მიიღო ეს წინადადება, რაზედაც ჯარისკაცებიც დათანხმდენ, ხალხმა აირჩია კომისია 15 კაცისაგან შემდგარი. დაპატიმრებული ამხანაგები ჯარისკაცებმა სამართველოს შენობიდან გამოიყვანეს და ხალხზე ასი საჟენის მოშორებით გააჩერეს, დაიწყო გულის ამაღელვებელი სურათი. ამხ. რუბენ ყიფიანმა სთხოვა ჯარისკაცებს, რომ მიეყვანათ ისინი ხალხთან სალაპარაკოთ, ჯარისკაცებმა უარი უთხრეს იმიტომ, რომ თქვენ გაგამართლებს ხალხიო, ბოლოს დათანხმდენ ჯარისკაცები და მიიყვანეს ხალხთან; ტრიბუნაზე ადის ამხ. რუბ. ყიფიანი; ჯარისკაცები თვით გასამართლებას უპირობდენ თურმე დაპატიმრებულ ამხანაგებს, ამხ. რ. ყიფიანი ამბობს: თქვენ მე დამაჯინეთ საბრალმდებლო სკამზე. ეს თქვენი ნება-სურვილია, მაგრამ ამის საბუთი ხელთ უნდა გქონდეთ. ხელთ უნდა გქონდეთ თუ მე რა გავაფუჭე, რაში ვარ დამნაშავე, თქვენ ესეც შეგიძლიათ, რომ განუკითხავათ დამაჯოთ, მაგრამ თქვენ მოკლავთ ჩემს სიცოცხლეს, მუშათა კლასის ინტერესების დაცვაში მეც წილი მაქვს, თორმეტი წლის განმავლობაში მუშათა კლასის საქმის მიყოლის გამო ძველი მთავრობა მდევნიდა და ახლა მუშებმა და მუშებიდან შემდგარმა ჯარისკაცებმა უნდა დამსაჯონ? მე სასჯელის არ მეშინია, მხოლოდ თქვენ არ შეგრცხვეთ ჩემი უდანაშაულო დასჯისათვის, ბოლოს მოინანიოთ. შემდეგ ლაპარაკობს ბალშევიკი ბ. კუპრაშვილი, მან არ იცის რისთვის დააპატიმრეს, თხოულობს მითხარითო, ლაპარაკობს ამხ. აკაკი გოცირიძე. ის თხოულობს გამოძიებულ იქნას ჩემი სიმტყუნ სიმართლეო, შემდეგ ლაპარაკობენ სხვა ორატორები, მოითხოვენ დაპატიმრებული ამხანაგების ახლავე განთავისუფლებას, ხალხი მიემხრო ამ მოთხოვნას და ერთხმათ იგრიალა გაანთავისუფლეთო. ჯარისკაცები ხალხში გაიპარენ, დაპატიმრებული ამხანაგები გაანთავისუფლეს და ჩამორთმეული იარაღიც ჩააბარეს, მიტინგი საღამოს ექვს საათზე დაიშალა, მეორე დღეს ჯარისკაცები კვლავ დაეძებდენ თურმე დასაჭერათ ამხ. რ. ყიფიანს და ამხ. ბ. კუპრაშვილს, მაგრამ ვერ იპოვნეს.

თელია.

წერილი რედ. მიმართ

„ერთობის“ მე-42 ნომერში დაბეჭდილია სოფლელის წერილი ჩემს წინააღმდეგ. ის სწერს: „საქმე იქამდე მივიდა, გაზეთიც კი არ მოდიოდა თავის დროზეო“. ნუ თუ არ იცით, რომ დღეს ამ საშინელ ნგრევა-შენების ქარტეხილში ყოველივე აწეწილ-დაწეწილია და თუ სისტემატიურად გაზეთების მომტანს არ დაქონდა ან თვით სტამბაც ვერ უშვებდა (რაიც ხშირი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში), ნუ თუ ეს მომაკვდინებელ ცოდვად გამგეს (როგორც თქვენ მე მეძახით) უნდა ჩამეთვალოს?!. ამასთანავე უნდა მოგახსენო „სოფლელო“, რომ გამგე, ესე იგი, მუდმივი მეთვალყურე უსახსრობის გამო არ ყოლია და დღესაც არა ყავს ნახსენულევის სამკითხველოს.

ამბობთ: „ორი სამი დღის განმავლობაში გამგე გაზეთებს ჯიბით ატარებდა ან სახლში წაიღებდა და მერმე მოიტანდა სამკითხველოშიო. არ არის ეს მართალი, გაზეთები სამკითხველოში თვით გაზეთის მომტანს შექონდა და არა მე და შინ წასაღებათ გაზეთს არავს ვანებებდი, თუმცა ხშირად გაზეთები სამკითხველოდან ქრებოდენ.

ბრძანებთ: „ორი სამი თვე კარგად მიდიოდა საქმეო“. აქაც დიდათ ცდებით, ვერ გამიგია, რომელი მხრით მიდიოდა კარგათ: მით, რომ წინათ ვითომ მკითხველები ყავდა მეტი? ან მეტი გაზეთები დადიოდა, ან და უფრო კარგად მოწყობილი იყო?—არა! ანდა ეგებ მით, რომ მაშინ წიგნები მაგიდაზე ეწყო ინვენტარში ჩაუწერელი და ეხლა კი არა; ცილს მწამებთ თითქო ანგარიში გაბნეული და თავის რიგზედ ნაწარმოები არ მქონდეს. ვერ გამიგია სიდან, როგორ მოკრიბეთ ასეთი ცნობები. უკანასკნელი რჩევის წევრების სხდომის დროს ანგარიში აღმოჩნდა სწორი, თავის რიგზედ ჩაწერილი საანგარიშო წიგნებში და ყოველივე ნაყიდ ნივთების სიმტკიცე იყო, აღმოჩნდა აგრეთვე ისიც, რომ ჩემი საკუთარი ფული იყო სამკითხველოზე დახარჯული სამი თუმანი, როცა სამკითხველოს კი ორასი მანეთი გაუსესხე ადგილობრივ კოოპერატივში.

დასასრულ ბრძანებთ: „გადმობრძანდი სავარძელბდანო“!. დიდი სიამოვნებით, მხოლოდ თქვენ ჩაუდექით ამ სიმპატიურ საქმეს სათავეში.

გიცნობ ვინც ბრძანდებით ბ. „სოფლელო“, პირბადე თქვენთვის გამოუსადეგარია. შემოიარეთ თქვენს მიერ ათვალწუნებულ სამკითხველოში, მოითხოვეთ საქმის ქაღალდები და თუ შეგწევს ძალი და ღონე თვით გაეც ნით საქმის ვითარებას.

მასწავლ. გრ. უგულავა.

ცნობები

-ჯარისკაცთა შესახებ.

ჯარისკაცი ანდრონიკე ლეონტის ძე ნარმანია მ ახურებდა 1 კავკასიის მოსაზღვრე ქვეითა პოლკის მე-13 როტაში. ბოლოს გადაიყვანეს 1 კავკასიის პარტიზანულ რაზმში პირველი „კომანდაში“. 25 ოქტომბრიდან 1917 წლისა, მისი არაფერი ვიცით თუ ვინმემ რაიმე იცის, გთხოვთ მაცნობოთ შემდეგი მისამართით: სოფ. კახათი (ზუგდ. მაზრა) ლეონტი პახვალის ძე ნარმანიას.

25 მარტს საღამოს თფილისის სადგურზე

დავკარგე

უბის ფორთფელი. რომელშიაც იყო 450 მან. და სხვადასხვა ჩემთვის ფრიად საჭირო დოკუმენტები. მნახველს ვსთხოვ, ფული დაიტოვოს, ხოლო დოკუმენტები დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: ფარკოფელის ქუჩა № 12, თადეოზ ბურჯულაძეს. ერმილე ბურჯულაძე.

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქირებით და სხვა შინაგან სნეულებით. ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

ექიმი
ვ. ვ. კლდიაშვილი
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დღის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დღის 1—2 საათამდე.

ექიმი ქალი
რ. გ. შიშლო-საბაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

სამკურნალო კაბინეთი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი
მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.
შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველ-დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 9—10 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

მარტის 20 გაიხსნა ახალი
სამკურნალო
ყოველგვარ ავათმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის
სავადმყოფოში არსებობს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბარატორიით
მიხეილის და კიროჩნი ქუჩების კუთხე № 22. (შესასვლელი კიროჩნი ქუჩიდან) ტელეფ. 10—87. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევის 3 საათამდე. ვენერიული და სიფილისის ავათმყოფების მიღება საღამოს 5—8 მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს., კვირაობით ღარიბები უფასოთ მიიღებიან დილ. 10—12 საათ.
(24—13)

აპრილიდან (14 აპრილი ახ სტ.) ჩვენი გაზეთის ცალკე ნომერი ღირს
30 კაპეიკი
პროვინციელ აგენტებს დაეთმობათ 24 კაპ.
ერთი თვით ეღირება 6 მან. და 50 კაპ.

მოწოდება

ძვირფასო ამხანაგებო!

შეუსაბამო საგამომცემლო პირობების გამო პირველი იანვრიდან არსებობა შესწყვიტა ჩვენმა საყვარელმა ჟურნალმა **„ეშმაკის მათრახმა“**. **„ეშმაკის მათრახი“** აღარ გამოდის, მაგრამ მისი ხანგრძლივი შეწყვეტა შეუძლებელია. **„ეშმაკის მათრახმა“** უნდა იარსებოს. ამას გრძნობს ყველა ჩვენგანი. საჭიროა მხოლოდ ეს გრძნობა კიდევ გავაღვივოთ და ჟურნალის განახლების საქმე სინამდვილეთ ვაქციოთ.

მრავალი წერილები მოგვდის ამხანაგებისა და თანამგრძნობებისაგან: ყველანი ერთხმათ მოითხოვენ ჟურნალის გამოცემის განახლებას და მზათ არიან სათანადო დახმარებაც აღმოუჩინონ მას.

ჩვენც სიამოვნებით ვეგებებით ამ კეთილშობილ სურვილს **„ეშმაკის მათრახის“** მკითხველებისას და ვკისრულობთ საჭირო ფონდის შედგენას, ურომლისოდ ჟურნალის გამოცემა ყოვლად შეუძლებელია.

ძვირფასო ამხანაგებო! თქვენზეა დამოკიდებული **„ეშმაკის მათრახის“** განახლების საქმე. მაშ ნუ დააყოვნებთ დახმარებას.

ფულის მოკლე ანგარიშები დაიბეჭდება გაზეთ „ერთობა“-ში, ხოლო სრული სია შემომწირველთა გამოქვეყნდება თვით **„ეშმაკის მათრახის“** ფურცლებზე.

ფული და ყოველგვარი მიწერ-მოწერა უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

Тифлисъ редакція „Эртоба“ почт. ящ. № 199 для „Эшмакисъ Матрахи“.

ამხანაგური სალამით „ეშმაკის მათრახი“-ს ფონდის გამაძლიერებელი კომისია.

---

*) ეს წერილი დაგვიანებით მივიღეთ.

მშრომელ-მეურნეთა სტამბა რუსთაველის, გამზირის [illegible] № 1.